პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 173 (13258) | შაბათი, 24 ივლისი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

მინდვრებსა და კლანტაციებში

მოსავალს დაცდა არ უყვარს!

მხოლოდ უდანაკარგოდ

ერედვში, ჰექტარზე საშუალოდ 25-30 ცენტნერ მარცვალს ვიღებთ. განსაკუთრებით კარგ მოსავალს იძლევა „შავფხა“ და „დოლის პური“. ყანებში განუწყვეტლივ გუგუნებენ ველის ხომალდები. პირველ აღგილზე კომბაინერები ვ. ვახტანგაშვილი და ლ. ბოროცკაძე არიან. ისინი მკის ყოველდღიურ დავალებას გადაჭარბებით ასრულებენ.

ე. მელქოევა.

კარგი ტრადიცია

ლაგოდეხი. (საკ. კორ.). სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში“ ტრადიციად იქცა წელიწადში ორი მოსავლის მოყვანა. ნაწვერალზე ნათესი სიმინდიდან ყოველწლიურად დიდ მოსავალს იღებენ.

კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ივ. ყაველაშვილი) ნაწვერალზე უკვე ხუთას ჰექტარზე მეტი სიმინდი დათესა. აქედან სამას ჰექტარზე მარცვლად აიღებენ. დანარჩენი სასილოსე მასალად არის განკუთვნილი. ნაწვერალზე ნათესი სიმინდი კარგად აღმოცენდა. მექანიზატორებმა ი. ბერიკაძემ და მ. ბერეაძემ უკვე 250 ჰექტარზე დამთავრეს კულტივაცია.

ლაგოდეხის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც თავმჯდომარეა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლ. ლომბრენდაძე, ნაწვერალზე 350 ჰექტარი სიმინდი დათესეს. მექანიზატორები ნ. მელიხოვი და ი. ბაბალოვი კულტივაციის დღიურ დავალებას ორმაგად ასრულებენ. ნაწვერალზე ნათესი ფართობიდან ას ჰექტარზე მეტს მარცვლად აიღებენ.

დაწინაურებულნი

ვალიკო ბექაურმა გარდაბნის რაიონის „ლენინის ანდერძში“ შვიდ სამუშაო დღეში თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი აიღო 100 ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 56 ჰექტარისა.

ალექსანდრე ბერიაშვილმა ისე მოაწყო მუშაობა, რომ შვიდ სამუშაო დღეში პურეულის მოსავალი მომკა 85 ჰექტარზე ნაცვლად 56 ჰექტარისა.

ბურამ მესხიშვილს ექვს სამუშაო დღეში გეგმით თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი უნდა აეღო 48 ჰექტარზე, ფაქტიურად აიღო 75 ჰექტარზე.

ო. ნასყიდოღლიმ ექვს სამუშაო დღეში პურეულის მოსავალი მომკა 65 ჰექტარზე ნაცვლად 48 ჰექტარისა.

ლენინგორის რაიონის სოფელ წინაგრის კოლმეურნეობის კომბაინერმა სურენ ხუბულოვმა ორ სამუშაო დღეში თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი აიღო 25 ჰექტარზე ნაცვლად 16 ჰექტარისა, ხოლო გივი კუდუხოვმა 30 ჰექტარზე ნაცვლად 16 ჰექტარისა.

პური სახელმწიფოს

ველს რესპუბლიკის მხვნელ-მთესველებმა სახელმწიფოს უნდა მიჰყიდოს 38 ათასი ტონა პური. ივლისის მეოთხე ხუთდღიურისათვის გეგმა შესრულებულია 61,9 პროცენტით, სახელმწიფოს უკვე მიეყიდა 23.515 ტონა პური.

სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვის გეგმა გადაჭარბებით შესასრულეს მარნეულის, ყვარლის, გურჯაანის, თელავის, ლაგოდეხის, ბოლნისის რაიონებმა.

საგარეჯოს რაიონმა სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვის გეგმა შეასრულა 64,2 პროცენტით, გარდაბნის რაიონმა — 56,7, წითელწყაროს — 42,8, სიღნაღის — 42,6.



მარნეულის რაიონის ყაჩაღნის საბჭოთა მეურნეობამ პურეულის დამზადების წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. სამშობლოს ბელლებში ჩაყარეს 1.200 ტონა ხორბალი. ახლა მარცვალს გეგმის გადამეტებით აბარებენ.

სურათზე: ხორბლის მექანიზებული განიავება ყაჩაღნის საბჭოთა მეურნეობის კალოზე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ფართო გზა ახალგაზრდობას!

სწავლა უწინარეს ყოვლისა შრომაა. უშრომოდ შეუძლებელია ისწავლოს ადამიანმა. ამაში დარწმენებულია ყოველი ახალგაზრდა — კაბუკი თუ ქალიშვილი. — რომელმაც დაამთავრა საშუალო სასწავლებელი. სწავლის თერმომეტრი წელი ხომ შეუპოვარი, ბეჯითი შრომით იქნა განვლილი. განუზომელია შრომაში და შრომით მიღებული შინაგანი კმაყოფილება, რომელიც ამაღლებს კაცს, აკეთილშობილებს მის სულს.

სწორედ შრომაშია და მხოლოდ შრომაშია ადამიანი დიდი. და რაც უფრო მხურვალედ უყვარს მას შრომა, მით უფრო დიდია იგი თვითონ, მით უფრო პროდუქტიულია. ლამაზია მისი შრომა, — ამბობს მაქსიმ გორკი, რომლის მთელი ცხოვრება იყო შეუპოვარი შრომა და ძიება. დიდება და სახელი შრომის ხელშეიოთ, უთქვამს ქართველ კაცს.

ბაბუკი თუ ქალიშვილი, რომელმაც წელს, აი აგერ ახლახან მიიღო საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი, დგას, თუ შეიძლება ითქვას, გზაჯვარედინზე — განაგრძოს კვლავ სწავლა, ამჯერად უმაღლეს სასწავლებელში, თუ ხელი მიჰყოს დამოუკიდებელ შრომას? — მოსაწონია ორივე გზა. პირველ გზას წელს, მაგალითად, 10.075 ახალგაზრდა დაადგება დასძლევს რა უმაღლეს სასწავლებლებში, დღის სტაციონარულ, სალამოს დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებებზე შესასვლელ კონკურსს და სათანადოდ ჩააბარებს გამოცდებს.

მაგრამ ეს ბედნიერება ხომ ყველას ვერ გაულიმებს. ზემოთმოყვანილი ციფრი მხოლოდ უმცირესი ნაწილია იმისა, რაც გამოხატავს თუნდაც წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა რაოდენობას, რომ აღარაფერი ვთქვათ უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის წინა წლებიდან ნაგროვ მსურველებზე.

დიდი სიხარულია, ბედნიერებაა ახალგაზრდისათვის, როცა იგი უმაღლეს სასწავლებელში შედის, მაგრამ არანაკლებია სიხარული და ბედნიერება, რომელსაც იგი ჰპოვებს დამოუკიდებელ შრომაში, მიაშურებს რა წარმოებას, მშენებლობას, კოლმეურნეობას, დაწესებულებას. რკინიგზის თუ საავტომობილო ტრანსპორტს, სავაჭრო ქსელს თუ კავშირგაბმულობას. განა ცოტაა ობიექტები, სადაც საშუალო სკოლის კურსდამთავრებულ ახალგაზრდას შეუძლია იშრომოს, ისწავლოს. გზა გაიკვლიოს ცხოვრებაში. ეჰ ერთი მაგალითი:

საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ნელი ჭაიანმა მიაშურა ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭკადუაშის კოლმეურნეობას. ითხოვა მიემაგრებინათ მისთვის ჩაის ნაკვეთი. კოლმეურნეობის გამგეობამ მხარი დაუჭირა ქალიშვილს, მოსავლელად გამოუყო 0,4 ჰექტარი ჩაის პლანტაცია. ამას ნ. ჭაიანმა ბეჯითი შრომით უპასუხა. წელს მან ვალდებულება იკისრა თავის ნაკვეთზე შვიდი ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფოს. ოთხი ტონა უკვე მოკრეფილი აქვს. ახეთ ბეჯით შრომას ხელი არ შეუშლია ნელი ჭაიანისათვის განეგრძო სწავლა უმაღლეს სასწავლებელში — იგი საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტია. მის მაგალითს მიბაძეს და ჭკადუაშის კოლმეურნეობაში მუშაობენ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები ც. გულორდავა, ნ. ჭინჭოლავა, ვ. გიგანი. ასეთი ახალგაზრდების სიბეჯითის შედეგიც არის ის, რომ დღეს ჭკადუაშის კოლმეურნეობა კომუნისტური შრომის სახელწოდებას ღირსეულად ატარებს.

რედაქციას მრავალი წერილი მოსდის იმის შესახებ, თუ რა თავდადებით შრომობენ საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები ფაბრიკა-ქარხნებში, მშენებლობებზე, ტრანსპორტზე.

ჩვენ გვაკვირვებს შესანიშნავი ახალგაზრდობა — შრომისა და სწავლის მოყვარე, კეთილსინდისიერი, საშობლოს უსაზღვროდ ერთგული ახალგაზრდობა, რომელიც მზად არის ყოველგვარი სიძნელე გადალახოს პარტიის საქმისათვის, კომუნიზმის მშენებლობის ინტერესებისათვის. მშობლიური მზრუნველობით უნდა მივეპყროთ ჩვენს ათეულ ათასობით ასეთ ახალგაზრდას, რომლებმაც დამთავრეს საშუალო სკოლა და ვერ მოხვდებიან უმაღლეს სასწავლებლებში. თვითეულმა ჰაბუკმა და ქალიშვილმა, რომელმაც სურვილი განაცხადა იმუშაოს წარმოებაში, ყოველმხრივი მხარდაჭერა და დახმარება უნდა იგრძნოს. მან პირველ რიგში უნდა დაეეხმაროთ სასურველი, მათი შესაძლებლობის გათვალისწინებით არჩეული პროფესიის დაუფლებაში. საწარმოთა, მშენებლობათა, კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებმა, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა იზრუნონ ახალმოსულთა შრომითი მოწყობისათვის, მათი საყოფაცხოვრებო პირობებისათვის, კულტურული დასვენებისათვის, სწავლისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალიშვილებს, რომლებიც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოდიან სამუშაოდ. ტყვარჩელის, ტყიბულის, ჭიათურის, რუსთავის და სხვა ქალაქების პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა იზრუნონ იმისთვის, რომ ქალიშვილები ჩაბაან სავაჭრო დაწესებულებებში, კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებში.

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ახალგაზრდობამ უნდა ჰპოვონ გულთბილი მიღება და მხარდაჭერა, შრომისა და ცხოვრების ნორმალური პირობები რკინიგზასა და ავტოტრანსპორტებზე. მშენებლობებზე. საწარმოებში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებთან უნდა ეწყობოდეს მოკლევადიანი კურსები, ინდივიდუალური სწავლება. რესპუბლიკაში მარტო მიმდინარე წელს 30 ათასზე მეტი კაცის პროფესიული მომზადებაა დაგეგმილი.

გუშინდელ მოსწავლეებს, განსაკუთრებით საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთ, შეუძლიათ გახდნენ და კიდევაც უნდა გახდნენ მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ღირსეული შევსება. ამისათვის მათ სჭირდებათ განსაკუთრებით პირველ ხანებში გამოცდილი ოსტატი-მასწავლებლები, ზრუნვა და დახმარება წარმოების ხელმძღვანელობის, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების მხრიდან.

ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის საქმეს წელს მთელი სერიოზულობით უნდა მოვეკიდოთ, რადგან 1966 წლისათვის ამ უბანზე მეტ სირთულეს წავაწყდებით — ხდება ორი — X-XI კლასების ერთდროული გამოშვება. ცხადია, უმაღლესი სასწავლებლები ვერ დაიტევს გამოშვებულთა მცირე პროცენტსაც კი. რა ვუყოთ დანარჩენ ახალგაზრდებს? — გზა უნდა გავუხსნათ მათ დამოუკიდებელი შრომისაკენ! უნდა გავითვალისწინოთ, რომ რესპუბლიკაში გასულ წელს ვერ შესრულდა საშუალო სკოლის კურსდამთავრებულ ახალგაზრდათა შრომითი მოწყობის გეგმა, და ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა წელს მსგავსი რამ არ გამეორდეს.

ფართო გზა ჩვენს ნიჭიერ, შრომისმოყვარე ახალგაზრდებს.

დამოუკიდებელ შრომითს ასპარეზზე, ძვირფასო ჰაბუკებო და ქალიშვილებო!

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲡ

23 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ კრემლში გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინისა და უგანდის პრემიერ-მინისტრის დოქტორ აპოლო მილტონ ობოტეს საუბარი.

საუბრის დროს მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები მრავალ საკითხზე, რომლებიც ეხება საბჭოთა კავშირ-უგანდის ურთიერთობის ასლანდელ მდგომარეობას და შემდგომ განვითარებას, აგრეთვე განხილეს საერთაშორისო მდგომარეობის ზოგიერთი ურთიერთსაინტერესო პრობლემა.

საუბარმა გულითადობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩაიარა. (საკდესი).

ᲡᲙᲙᲙ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲨᲘ

ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ, 23 ივლისი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის წევრები, რომლებიც ესწრებიან რუმინეთის კომპარტიის IX ყრილობას, გუშინ ეწვივნენ არჯეშის ოლქის ტატფენენტის მებაღეობა-მევენახეობის ექსპერიმენტულ მეურნეობას. მეურნეობის ხელმძღვანელებმა საბჭოთა სტუმრებს გააცნეს მთის ფერდობზე ბაღებისა და ვენახების გაშენების ხერხები.

ᲙᲝᲒᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ

23 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ მოსკოვის საზოგადოებრივობამ ზეიმით აღნიშნა ეროვნული აჯანყების დღის (26 ივლისის) — კუბელი ხალხის რეგოლუციური დღესასწაულის მეთორმეტე წლისთავი.

კრებას, რომელიც კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა, დაესწრნენ ამხანაგები პ. ნ. დემიჩევი, დ. თ. უსტინოვი, ა. ბ. რუდაკოვი.

სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ნ. ა. კუზნეცოვი გულთბილად მიესალმა კუბელი ხალხის წარმომადგენლებს.

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ს. კ. რომანოვსკიმ. (საკდესი).

კანადელი პარლამენტარები საქართველოში

ᲒᲣᲨᲘᲜ, 23 ივლისს, კანადელი პარლამენტარები კვლავ ეცნობოდნენ საქართველოს. დილით ისინი ავტომანქანებით გაემგზავრნენ რუსთავში. აქ სტუმრებს გულთბილად მიესალმნენ ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ნ. ებრალიძის მეთაურობით. სტუმრები მიეწვიენ მეტალურგიულ ქარხანაში.

ქარხნის დირექტორმა ო. სულაძემ დელეგაციის წევრებს უამბო, რომ ქარხნის მშენებლობა ომის წლებში დაიწყო. ქარხანასთან ერთად შენდებოდა ქალაქიც. რუსთავის ქარხანა ახლა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უდიდესი მეტალურგიული ქარხანაა. ქარხნის აშენების შემდეგ განვითარდა მრეწველობის მთელი რიგი სხვა დარგები.

კანადელმა პარლამენტარებმა ბლოკნოტებში დაწერილებით ნაწერეს ყველა მონაცემი, ბევრი შეკითხვა მისცეს ქარხნის დირექტორს. მათ გამოიკითხეს, თუ რა პროდუქციას უშვებს ქარხანა, როგორია მუშათა ხელფასი, როგორ ხორციელდება მუშაკთა მატერიალური დაინტერესება, რა საქმიანობას ეწევა საწარმოს პროფკავშირული ორგანიზაცია. ყველა ამ კითხვაზე მათ ამომწურავი პასუხი მიიღეს.

შემდეგ კანადელმა სტუმრებმა დაათვალიერეს საგლინავი და მიღებასამზადებელი საამქროები. მათი ყურადღება მიიპყრო წარმოების მექანიზაციამ და ავტომატიზაციამ. საქმეესის კორესპონდენტმა სთხოვა კანადის პარლამენტის წევრს ტ. ნიუჯენტს გაეზიარებინა თავისი შთაბეჭდილებანი ქარხნის შესახებ. ჩვენს ვემონტონეს ოლქშიც, არის მეტალურგიული ქარხანა თქვა მან, მაგრამ ის, რაც აქ ვნახე — ფანტასტიკურია. ეს შესანიშნავი საწარმოა. განსაკუთრებულ განცვიფრებას იწვევს, თუ როგორ მზადდება აქ მთლიანი უნაკერო მილები.

ქარხნის საპატიო სტუმრად თემთა პალატის სპიკერმა ალან მაკნოტონმა ჩაწერა: „კანადის პარლამენტის დელეგაციის, ჩრდილოეთ ამერიკის პირველი დელეგაციის წევრებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ამ დიდმა ქარხანამ. მეტად კმაყოფილი ვარო, რომ შესაძლებლობა მოგვეცა დაგვთვალიერებინა ეს ქარხანა, გავცნობოდით საქართველოს რესპუბლიკას“.

შემდეგ ჩვენი სტუმრები თბილისში დაბრუნდნენ, დაისვენეს და უწიოდნენ მეცნიერების, მეცენატობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს. პროფესორმა გ. ბერიძემ, ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ სამეცნიერო ნაწილში დელეგაციის წევრებს გააცნო ის მუშაობა, რასაც მეცნიერები ეწევიან სასოფლო-სამეურნეო წარმოების დასახმარებლად. ცხოველი ინტერესით ათვალიერებდნენ პარლამენტარები ინსტიტუტის სამეცნიერო მუზეუმს. მუზეუმი მშვენივრად არის გაფორმებული, შენიშნა ალან მაკნოტონმა.

კანადის წარმომადგენლებმა შეიტყვეს, რომ საქართველოში ხორბლის 500 ადგილობრივი ჯიში ყორძენი, მეღვინეობის მრეწველობა უშვებს 45 მარკის ღვინოს. თემთა პალატის წევრმა მაიკლ სტარმა, კანადის ყოფილმა შრომის მინისტრმა აღნიშნა, კანადაში აგრეთვე ფართოდ განვითარებულია მევენახეობა და მეღვინეობა, მაგრამ პირველად ვარ ასეთ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში, რომელიც მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის პრობლემებზე მუშაობსო.

სტუმრებს შესთავაზეს დაეგემნიკებინათ სხვადასხვა მარკის ღვინო. წარმომბოთი ფრანგმა, კანადის პარლამენტის წევრმა რ. კიუტმა აღნიშნა, ქართული ღვინო ჩინებულიაო.

კანადელი პარლამენტარები იყვნენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში. მეურნეობის დირექტორმა გ. სოხაძემ უამბო მათ, თუ როგორ გადიან აქ პრაქტიკას სოფლის მეურნეობის მომავალი სპეციალისტები, როგორ იმდიდრებენ თავიანთ თეორიულ ცოდნას. ეს ბუნების დიდი ლაბორატორიაა, განაცხადეს კანადელებმა. მათ დაათვალიერეს ვენახები, სასწავლო-სარემონტო ქარხანა, მარანი, ძალიან მოეწონათ ის ადგილი, სადაც სასწავლო-საცდელი მეურნეობაა გადაჭიმული.

დაუვიწყარია საქართველოში გატარებული ეს დღე, გაანაცხადა კანადის პარლამენტის წევრმა ა. სირმა. ვფიქრობ, რომ ჩვენი ვიზიტი თქვენს ქვეყანაში

კანადელი ხალხისა და საბჭოთა ხალხის მეგობრობის საწინდარია.

დელეგაციის მეთაურმა ალან მაკნოტონმა სამეცნიერო-საცდელი მეურნეობის სტუმართა წიგნში ჩაწერა, რომ მაღლობელია სტუმართმოყვარეობისა და გულთბილი მასპინძლობისათვის.

ღამის ბოლოს შორეული ჩრდილოეთ ამერიკის პარლამენტარები ეწვივნენ მცხეთას, სადაც დაათვალიერეს ძველი საქართველოს ძეგლები.

მოგზაურობისას კანადელ პარლამენტარებს ახლდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლ. ლუბენიკოვი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ბ. ლორთქიფანიძე, ნ. ჩერქეზიშვილი, გ. ქუთათელაძე.

საღამოს საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ საბანკეტო დარბაზში მთაწმინდაზე ვახშამი გამართა სტუმრების პატივსაცემად. (საკდესის კორ.).

ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ მთავრობის მოწვევით მოსკოვში იმყოფება უგანდის პრემიერ-მინისტრი დოქტორი აპოლო მილტონ ობოტე. მან 22 ივლისს დაათვალიერა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა.

უგანდის პრემიერ-მინისტრმა სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საპატიო სტუმართა წიგნში დატოვა ჩანაწერი, რომელშიც აღნიშნა, რომ აღტაცებულია ექსპონატებით.

ფხენიანდან კონგოში (ბრაზავილი) მიმავალი მოსკოვში ჩამოვიდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საპარლამენტო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე კან რიან უკი. დელეგაცია რამდენიმე დღეს გაატარებს მოსკოვში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ვ. პეივემ კრემლში მიიღო ირანის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარე სენატორი ამიდ მატინ დაფთარი. (საკდესი).

მიფრინავს „კოსმოს-76“

საკდესის ცნობა

1965 წლის 23 ივლისს საბჭოთა კავშირში განხორციელდა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის „კოსმოს-76“-ის მორიგი გაშვება. თანამგზავრზე დადგმულია სამეცნიერო აპარატურა, რომელიც განკუთვნილია იმისათვის, რომ გაგრძელდეს კოსმოსური სივრცის კვლევა იმ პროგრამის შესაბამისად, რაც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

— მიმოქცევის საწყისი პერიოდი — 92,2 წუთი;

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 530 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 261 კილომეტრი;

— ორბიტის დახრილობის კუთხე — 48,8 გრადუსი.

სამეცნიერო აპარატურის გარდა თანამგზავრზეა: რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის; რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი აწარმოებს მიღებული ინფორმაციის დამუშავებას.

ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲔᲑᲘ ᲙᲐᲡᲞᲘᲓᲐᲜ ᲨᲝᲠᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ

ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲨᲘ სამნი ვართ. კარგახანია ერთად მოვდივართ, მაგრამ ვერ იქნა და ვერ ავაწყეთ საუბარი. იქნებ იმიტომაც, რომ ეს ჩვენი პირველი შეხვედრაა.

ჩუმად არის კასპის რაიკომის პარტკაბინეტის გამგე გიორგი მალაკიძე. დუმს მძღოლი ხიმონიც, რომელიც გზას გაჰყურებს.

— აქ კასპის რაიონის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებია, — მითხრა გიორგიმ და თან სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი მიხეილ გოგოშვილი გამაცნო, რომელიც ის იყო მოგვიანებლოდაც. ჩვენნაირ ცოტა მოცილებით კომბაინი „სტალინეც-ნ“ გუგუნებს.

კუნთმაგარი მექანიზატორები ვიქტორ ჟურავშვილი, შალვა ილურიძე, ტარიელ მიდელაშვილი და სხვები მთელი ენერგიით მუშაობენ, რათა დროზე და უდანაკარგოდ აიღონ წლის მოსავალი.

მათ ნაკვეთიდან გამოსვლას არ აცლიან. უკვე ხენა დაუწყიათ მექანიზატორებს სამსონ ქეთიშვილს და მის დამხმარეს ალექსანდრე ბუდიეიმს. ვიწრო ზოლი სარტყელივით შემორტყმია ნაჯაფ მიწას.

შემდეგ, მეორე ბრიგადის მინდვრებისაკენ გაგზავნეთ. აქ მექანიზატორებისთვის საჩრდილობელიც კი არსად არის. არაფერი მითქვამს, ვიფიქრე, ალბათ სხვა ბრიგადაში იქნებათ მექანიზატორებს საერთო ბინა-მეთქი.

სიმონმა მანქანა დაამუხრუჭა. გზა ფეხით გავაგრძელეთ. კომბაინი შემოგვიარა. ჩვენს საპირისპიროდ მოდის და თან ქერის ყანას მკის.

ვგრძნობ, მექანიზატორებს მუშაობა უჭირთ. ყანა ძალიან დაბალია. არც რელიეფი უწყობთ ხელს. ასეთ ადგილებში კარგი თვალი და დიდი ყურადღებაა საჭირო, რათა მომკელი მექანიზმი მარჯვედ ამოძრაოს ზევით და ქვევით, რომ არც მოსამკელი დარჩეს და არც მიწის ზედაპირს შეეხოს მომჭრელი დანები.

მექანიზატორებმა ერთი კი გადმოგვხედეს და მკის გაგრძელებას აპირებდნენ, რომ ხელით ვანიშნეთ გაჩერებულიყვნენ. სათითაოდ გავიცან მზისა და ქარისაგან გარუჯული ბიჭები — კომბაინერი ვარდო მაჭარაშვილი, მისი დამხმარე ვახტანგ ქისიეი, ნამჯის შემგროვებელი აშხან ნაბიოღლი, ტრაქტორისტები ლევან ახლოური და რეზო ქასოკი.

მუშაობის მიმდინარეობაზე ბიჭებმა თითქმის იგივე მითხრეს, რაც მათ გაჯანმობამდე ვიფიქრე. მაგრამ როცა სიტყვა მექანიზატორების კეთილმომსახურებაზე ჩამოვაგდე, მათ ჩაიცინეს.

— რას ბრძანებთ, რომელ კვებაზე გვეუბნებით, — სახე აელეწა მაღალ, ქერა ვაჟკაცს ქისიეიეს, — ცხელი კერძები კი არა, მეორე დღეა, რაც აქ ვმუშაობთ და ლამის წყურვილით დავიხრჩოთ. ჩვენმა ბრიგადირმა თუ თავმჯდომარემ ისიც კი ვერ მოახერხეს, რომ სასმელი წყალი საკმაოდ გვქონდა, იძულებული ვართ კომბაინი გავაჩეროთ და წყალზე წავიდეთ. წარმოგიდგენიათ, უწყლოდ ასეთ სიცხეში?..

— გისმენთ და თავი სიზმარში მგონია, — საყვედურის ტონით ამბობს კომბაინერი მაჭარაშვილი. — შრომა რას დამაკლებს, ან რა დამღლის, თავის დროზე საშუალება თუ მექნება, რომ ვისადილო, დავისვენო და ახალი ჟურნალ-გაზეთები ვათვალიერო. თუ დაიჯერებთ, მე ახლა თქვენგან გავიგე სიღნაღელი მექანიზატორის ბეჟანიშვილის წარმატების ამბავი. მეც გავეკიბრეოდი, რატომაც არა. აგიტატორს აქ ვერ ნახავთ. ცოტახანის შემდეგ ისე დაცხეს, კვერცხი შეიწვება. ბრ ბალი ბ. ბ. ... ...

საერთაშორისო ცხოვრება

რუმინელ კომუნისტთა ყრილობა

ბუქარესტი, 23 ივლისი. (საკდესი). რუმინეთის კომუნისტური პარტიის IX ყრილობამ ერთსულოვნად დაამტკიცა რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენება, რომელიც ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ჩაუშესკუმ წარმოადგინა, და მოიწონა ცენტრალური კომიტეტის საქმიანობა VIII და IX ყრილობის შორის პერიოდში, ყრილობამ ერთსულოვნად დაამტკიცა აგრეთვე ცენტრალური სარევიზიო კომისიის მოხსენება.

დელეგატებმა ერთხმად მიიღეს ყრილობის დირექტივები სახალხო მეურნეობის განვითარების შესახებ 1966-1970 წლებში და დირექტივები ენერგეტიკული რესურსების გამოყენებისა და ელექტრიფიკაციის შესახებ 1966-1975 წლებში. შემდეგ დელეგატებმა ერთსულოვნად მიიღეს რუმინეთის კომუნისტური პარტიის წესდება და რუმინეთის კომუნისტური პარტიის IX ყრილობის რეზოლუცია. ნაშუადღევს გაიმართება ყრილობის დახურული სხდომა.

პოლონეთი ზეიმობს

ვარშავა, 22 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი ვ. კუზნეცოვი გვატყობინებს:

დღეს პოლონეთის მშრომელები ზეიმობენ ეროვნულ დღესასწაულს — პოლონეთის აღორძინების დღეს. წელს 31 მილიონიანი ხალხი 22 ივლისს აღნიშნავს როგორც სიხარულის დღეს. მთელ პოლონეთში ეწყობა კარნავალები, სპორტული ასპარეზობა, კონცერტები, ტურისტთა შეკრებები.

პოლონელ მშრომელებს ბევრი რამ აქვთ სასიხარულო. სოციალიზმის მშენებლობისათვის 21 წლის თავდადებული შრომის შედეგად მოპოვებულია ბრწყინვალე წარმატებანი. სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის საოცრად დინამიური პროცესის შედეგად ძირეულად შეიცვალა რესპუბლიკის ეკონომიური და სოციალური სტრუქტურა. ომამდელ პერიოდთან შედარებით ამ დროის მანძილზე ათჯერ გაიზარდა სამრეწველო წარმოება. ოცდაათიან წლებთან შედარებით 65 პროცენტით გაიზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება. შეიქმნა მეურნეობის ახალი დარგები, აშენდა ახალი ქარხნები და შახტები, სკოლები და საცხოვრებელი სახლები.

პოლონელი ხალხის შრომის შედეგები, რომელიც თავისი ცხოვრების ბატონ-პატრონი გახდა, — სოციალიზმის გამარჯვების მკაფიო მაგალითია.

საჭირო დემოკრატიული ძალების კავშირი

პარიზი, 23 ივლისი. (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტია კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს, რომ პრეზიდენტის მომავალ არჩევნებში მიაღწიოს მემარცხენე ძალების ყველაზე ფართო კავშირს; პარტია საჭირო მომენტში დაასახელებს კანდიდატს, რომელიც ხელს შეუწყობს ასეთი კავშირის შექმნას, აღნიშნულია საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს განცხადებაში, რომელიც დღეს გამოქვეყდა გაზეთ „ლუმანიტეში".

განცხადებაში აღნიშნულია, რომ სოციალისტური პარტიის ეროვნული საბჭო უარყოფს კომუნისტურ პარტიასთან შეთანხმებას საერთო პროგრამის ბაზაზე. ამავე დროს სოციალისტური პარტია ეძებს გზას ზოგიერთ მემარჯვენე დაჯგუფებასთან კავშირის დასამყარებლად.

ამავე დროს, ხაზგასმულია საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს განცხადებაში, პირადი ხელისუფლების რეჟიმს შეიძლება დაუპირისპიროთ მხოლოდ მუშებისა და დემოკრატიული ძალების კავშირი.

ტერორისტთა ბანდა ლიკვიდირებულია

ჯაკარტა, 22 ივლისი. (საკდესი). ინდონეზიის რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმა ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით მოსპეს ტერორისტთა ბანდა, რომელიც მოქმედებდა სამხრეთ სულაესის მთის რაიონებში. დიდი ხნის განმავლობაში შეიარაღებულ ბანდებს ტერორით დაშინებული ჰყავდათ კუნძულ სულაესის მთის მოსახლეობა, აწყობდნენ დივერსიებისა და საბოტაჟის აქტებს და მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებს.

სამხრეთ სულაესის დიდაქალაქ მაკასაში გაიხსნა შეჯამებიანებთან ბრძოლის დროს ხელში ჩაგდებული ნადავლი იარაღის გამოფენა. ექსპონატები უდავოდ ამტკიცებენ, რომ კონტრრევოლუციის ძალები იარაღსა და საომარ მასალას ძირგამომთხრელი მოქმედების მოსწყობად დასავლეთის სახელმწიფოებისაგან იღებდნენ.

„იმპერიალისტებო, წაეთრიეთ ვიეტნამიდან!"

ჰავანა. „შენთანა ვართ, ვიეტნამო!", „იმპერიალისტებო, წაეთრიეთ ვიეტნამიდან!", „გაუმარჯოს პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს!" — ასეთი ლოზუნგებით გაიმართა აქ ვიეტნამელ ხალხთან კუბის მშრომელთა სოლიდარობის მრავალათასიანი მიტინგი. ეს მიტინგი იყო კულმინაცია სამხრეთვიეტნამელ ხალხთან კუბელი ხალხის სოლიდარობის კვირეულისა, რომელიც მიეძღვნა ინდოჩინეთის შესახებ ჟენევის შეთანხმებათა დადების 11 წლისთავს. ერთი კვირის მანძილზე მთელ კუბაში მოეწყო მრავალი მიტინგი და კრება, რომლებზეც მშრომელებმა გრილანგ პროტესტი გამოთქვეს იმის წინააღმდეგ, რომ შეერთებული შტატები უხეშად არღვევენ ჟენევის 1954 წლის შეთანხმებებს.

ტოკიო. იაპონიის ოკინავის კუნძულების მოსახლეობა, რომლებიც უკანონოდ დაიპყრო შეერთებულმა შტატებმა და დიდ ატომურ-რაკეტულ ბაზად გადააქცია აზიაში, მეტად შეშფოთებულია ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედებით ვიეტნამში და იმ როლით, რომელსაც მისი სამშობლო ასრულებს ამ ომში. დღითიდღე კუნძულებზე ფართოვდება საპროტესტო მოძრაობა ამ აგრესიის წინააღმდეგ. საპროტესტო მოძრაობაში მონაწილეობს მოსახლეობის სხვადასხვა ფენა.

ოკინავის ხალხის ბრძოლის მთავარი ლოზუნგია — ამერიკის ბაზების ლიკვიდაცია და ოკინავის დაბრუნება იაპონიისათვის, ბრძოლა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული ომის წინააღმდეგ ვიეტნამში.

პარიზი. უფრო მეტად ვეღაღოთ, რომ ამერიკას ჯარები გამოეყვანინოთ ვიეტნამიდან და შეეწყვეტინოთ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა, ნათქვამია დეგაშში, რომელიც ფრანგ ქალთა კავშირმა გაუგზავნა ვიეტნამელ და ამერიკელ ქალთა შეხვედრის მონაწილეებს ჯაკარტაში.

დეგაშში ხაზგასმულია, რომ უნდა განხორციელდეს ჟენევის 1954 წლის შეთანხმებანი იდეოჩინეთის შესახებ.

ნიუ-იორკი. ნიუ-იორკის ახალგაზრდობამ უიატ ქოლ სტადიუმზე მოაწყო დემონსტრაცია და პიკეტები დაიყენა გაწყვეტ პუნქტთან იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ ახალგაზრდა ამერიკელებს იწვევენ სამხრეთ ვიეტნამში გასაგზავნად.

ლოზუნგებით „უარს ვამბობთ ვიეტნამის ომში წასვლაზე!", „ხელები მოიხსენ ვიეტნამისაგან!" დემონსტრანტები ცდილობდნენ შენობაში შესულიყვნენ.

გასაწვევი პუნქტის შენობას პიკეტობდნენ „არამძალადური მოქმედების სტუდენტთა საკოორდინაციო კომიტეტისა" და ახალგაზრდობის სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ბერლინი. ბერლინში დაარსდა ორგანიზაცია „სოლიდარობის საერთაშორისო ფონდი". ორგანიზაციაში შეიდგენენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლები. ორგანიზაციას მეთაურობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჰერალდ ჰეტინგი. ახლა ორგანიზაციის მთავარი მიზანია მოსახლეობაში გაშალოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ვიეტნამელ ხალხთან სოლიდარობის მოძრაობა.

ჩავიშდეგულია საკამერო შეკრება

ნიუ-იორკი, 23 ივლისი. (საკდესი). გუშინ სამხრეთვიეტნამელმა პარტიზანებმა საიგონის ჩრდილოაღმოსავლეთით 265 მილზე ჩამოაგდეს ამერიკის ბომბდამშენი, იუწყება იუნაიტედ პრეს ინტერნაციონალის სააგენტო, რომელიც იმოწმებს ამერიკის სამხედრო სარდლობის წარმომადგენლის ცნობას. ცნობაში ნათქვამია, რომ თვითმფრინავის პილოტი დაიღუპა.

ეს ფოტორეპორტაჟი გამოქვეყნებულია ყოველკვირეულ „ეუროპაში", რომელიც მალანში გამოდის.

ზაფხულის ჩვეულებრივი დღე ქალაქ ჯეკსონში (მისისიპის შტატი). გუბერნატორის სასახლის კიბის საფეხურებზეა პატარა ჯგუფი (სურათი მარცხნივ). ესენი არიან—ელენ კუინი სამი ბავშვით და თეთრკანიანი ქალი ჯუნ ფაინერი. მათ ხელში უჭირავთ ამერიკის შეერთებული შტატების ალმები და პლაკატები: „შეწყდეს პოლიციელთა მხეცობა", „მანდატები ჩამოერთვას ხუთ უკანონოდ არჩეულ კონგრესმენს". როგორც ცნობილია, ზანგებს ამ შტატში არჩევნებში მონაწილეობას არ ანებებენ.

ელენ კუინსა და მის ვაჟიშვილს აქ კარგად იცნობენ. გასული წლის სექტემბერში იმ სახლში, სადაც იგი ცხოვრობს, რასისტებმა ბომბი შეაგდეს. მაშინ პატარა ანტონი დაიჭრა. იგი დღეს ფაინერის გვერდით ზის.

ორი ქალისა და სამი ბავშვისაგან შემდგარი პიკეტის წინააღმდეგ მისისიპის შტატის პოლიციის რაზმიელი გაიგზავნა. ზორბა პოლიციელებმა ძალა გამოიყენეს (სურათი მარჯვნივ). პატარა ანტონის, რომელიც სასტიკ წინააღმდეგობას უწევდათ, ამერიკის ალამი და პლაკატი წაართვეს. ბიჭუნამ ტირილი ატეხა და ჯუნ ფაინერი ამოოდ ცდილობდა დაეშვიდებინა იგი.

პროტესტი ჩახშობილია. ეს არის მთელი ის ამბავი, რაც ჩვეულებრივ დღეს მოხდა მისისიპის შტატის ქალაქ ჯეკსონში.

საკდესის ფოტოქრონიკა.

„ეკონომისტი" ეჭვიანობს

ნიუ-იორკი, 23 ივლისი. (საკდესი). გუშინ ქაიროში გაიმართა მასობრივი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა ეგვიპტელი ხალხის ეროვნულ დღესასწაულს — რევოლუციის დღეს. მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა გამალ აბდელ ნასერმა.

სიტყვის დასაწყისში პრეზიდენტი ნასერი შეეხო ეგვიპტის რევოლუციის ისტორიას, რომლის 13 წლისთავი დღეს შესრულდა. მან ჯეროვნად შეაფასა თავისი ქვეყნის ხალხი, „მისი სიმამაცე და პატიოსანი ბრძოლა ღირსი მეცადინეობა რევოლუციის სასწაულის განხორციელებისათვის".

შეეხო რა ეგვიპტის რევოლუციამდელ ისტორიას, პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ამ პერიოდში ეროვნული შემოსავლის ერი ფუძეელზე". ერთი მხრივ, კიდევ კრედიტებმა ხელი უნდა შეუწყოს ჩილის ეკონომიკის განვითარებას, მეორე მხრივ უფრო ფართოდ გაუხსნას გზა დასავლეთგერმანულ კაპიტალს და საქონელს ჩილეში. გაზეთ „დი ციტის" მონაცემებით, საქმე ეხებოდა იმას, რომ ჩილისათვის მიეცათ სესხი 40 მილიონი მარკა დასავლეთგერმანული საქონლისა და ჩილის მრეწველობის სხვადასხვა დარგისადმი „ტექნიკური დახმარების" ასანაზღაურებლად.

დღეს ბონში გამოქვეყნდა კომუნიკე, რომელშიც ორივე მხარე ეთანხმებოდა აღუთქვამს, რომ მზად არიან განავითარონ ურთიერთ ეკონომიური კავშირი და თანამშრომლობა ტექნიკურ დარგში. ბონი პირდება ჩილის მთავრობას, რომ დაეხმარება, ეკონომიურ და სოციალურ დარგებში.

თავის მხრივ, ჩილის პრეზიდენტი, როგორც კომუნიკედან ჩანს, აღუთქვამს ბონს, რომ ბრალს დაუჭერს მის პოლიტიკას გერმანიის საკითხში.

ახალი პროგრამა

დამასკო, 23 ივლისი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა სირიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის პროგრამა ბარდამეანის პერიოდისათვის — 1967 წლის იანვლისის დამლევამდე. პროგრამა მიმდინარე წლის ივნისში შეიმუშავა სირიის ბაასის პარტიის რიგგარეშე კონფერენციამ და დაამტკიცა ბაასის პარტიის სირიის რეგიონალურმა და საერთოარაბულმა ხელმძღვანელობამ.

... ეკონომიკა

ბონი, 22 ივლისი. ჩილის პრეზიდენტმა ფრეიმ დღეს დაამთავრა მოლაპარაკება ბონელ ხელმძღვანელებთან, აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან. როგორც დასავლეთ გერმანიის პრესა იუწყება, ამ შეხვედრების დროს ძირითადად განიხილავდნენ ეკონომიურ პრობლემებს.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ფრეის გამგზავრების მთავარი მიზანი იყო ბონისაგან მიეღო გრძელვადიანი კრედიტები „ურთიერთხელსაყ-

დანაშაულზე წაასწრეს

მოსკოვში გრძელდება ღია სასამართლო პროცესი დიდი ბრიტანეთის ქვეშევრდომის ჯერალდ ბრუკის სისხლის სამართლის საქმის გამო. პროცესის 22 ივლისის საღამოს სხდომაზე დაიწყო ბრალდებულის დაკითხვა.

შეკითხვაზე, თუ რა დროიდან დაამყარა კავშირი „სახალხო-შრომითი კავშირის" ანტისაბჭოთა ჯგუფთან, ბრუკმა განაცხადა: 1964 წლის დამდეგს შეხვედი „სახალხო-შრომითი კავშირის" ერთ-ერთ მეთაურს, რომელმაც თავი გიორგად გამაცნო. შემდეგ ჩვენი შეხვედრები გახშირდა როგორც ბრუკმა თქვა, გიორგი თანამიმდევრულად „იყოლიებდა" მას ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის.

შემდეგ ბრუკმა თქვა, რომ ჰქონდა შიფრი, რომელსაც იყენებდა საბჭოთა მოქალაქეების შესამართების ჩაწერის დროს, პირობითი ფრაზები, რომელთა საშუალებით უნდა მოეხსენებინა „სახალხო-შრომითი კავშირისათვის", რომ დავალება შეასრულა, ანტისაბჭოთა მასალები, რომლებიც დამალული ჰქონდა ალბომსა და ნესესერში (ეს ნივთები ნაჩვენები იყო სხდომის დროს).

თანდათან გამომეღავნდა დანაშაულებრივი საქმიანობა, „სახალხო-შრომითი კავშირისა", რომელიც უცხოეთის დაზვერვებს ემსახურება და ინგლისის ქვეშევრდომის ბრუკისა, რომელიც ასრულებდა ამ ორგანიზაციის მეთაურთა დავალებას.

სასამართლო განაგრძობს საქმის მოსმენას.

ი. ბერსენევი, ვ. პიმენოვი, (საკდესის კორ.).

კომუნისტი

მე-2 გვერდი, შაბათი, 24 ივლისი, 1965 წ.

... ეკონომიკა

ბონი, 23 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი ლ. შოკინი იუწყება:

უშიშროების საბჭოს გუშინდელ დილის სხდომაზე საბჭოს თავმჯდომარემ ვ. დ. მოროზოვმა (სსრ კავშირი) აღნიშნა, რომ საბჭოს განკარგულებაში არსებული მთელი რიგი დოკუმენტები მოწმობენ, რომ დომინგოს რესპუბლიკაში მდგომარეობა გამწვავდა. ამ მასალებს შორის არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის უ თანის 21 ივლისის მოხსენება. იგი შეიცავს ცნობებს, რომლებიც გამოგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალურმა წარმომადგენელმა დომინგოს რესპუბლიკაში მაიორმა. მოხსენებაში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ კონსტიტუციური მთავრობის მეთაურმა კამანიმ მაიორმეს აცნობა, რომ 20 ივლისს დილაადრიან გენერალ იმბერტის რაზმებმა რამდენჯერმე დაუშინეს არტილერიის ცეცხლი ტერიტორიას, რომელიც კონსტიტუციონალისტებს უკავიათ. ამის შედეგად ერთი კაცი მოკლულია და ორი დაიჭრა.

საადმ (ირორდანია) თავის გამოსვლაში სხდომაზე სერიოზული შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ გენერალ იმბერტის ჯარები გამუშყვეტლივ არღვევენ

უშიშროების საბჭოში

შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

საფრანგეთის წარმომადგენელმა ტინმა აღნიშნა, რომ დომინგოს რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობის განხილვა ამჟამად საჭიროებით გამართლებულია.

ველასკესმა (ურუგვაი) განაცხადა, რომ დომინგოელებისადმი ძალადობის აქტებისათვის პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ეგრეთწოდებულ იმბერტის „მთავრობას".

საბჭოს სხდომაზე მოწვეულმა კონსტიტუციური მთავრობის წარმომადგენელმა ბრაჩემ გააკეთა განცხადება, რომელშიც ამხილა სამხედრო ხუნტის ცდები თავი გაასაღოს „ერთადერთ კანონიერ მთავრობად".

ბრაჩემ კვლავ მოუწოდა უშიშროების საბჭოს გამოიყენოს თავისი გავლენა, რათა მიაღწიოს ეგრეთწოდებული „ამერიკის სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების" გაყვანას დომინგოს რესპუბლიკიდან.

საარჩევნო კანონის 8.000 დამრღვევი

ტოკიო, 23 ივლისი. (საკდესი). იაპონიის პოლიციის სამმართველომ გამოაქვეყნა მონაცემები პარლამენტის ზემო პალატის არჩევნების დროს, რომელიც მომდინარე თვის დამდეგს გაიმართა, საარჩევნო კანონის დამრღვევთა რიცხვის შესახებ.

არჩევნებისათვის მზადება სამ კვირას გრძელდებოდა. ამ დროის მანძილზე დააპატიმრეს 8 ათასზე მეტი კაცი, რომლებიც მოსყიდვით, ქრთამითა და კანონით აკრძალული სხვა საშუალებებით ცდილობდნენ აეძულებინათ ამომრჩევლები ხმა მიეცათ მათთვის სასურველი კანდიდატებისათვის.

იაპონიის პრესა, რომელსაც დღეს ეს მონაცემები მოჰყავს, მოითხოვს, რომ მკაცრად დასჯონ კანონის დამრღვევნი.

... ეკონომიკა

ბონი, 23 ივლისი. (საკდესი). ... ეკონომიკა ... ეკონომიკა ... ეკონომიკა

დამსვენებელი სტუმარია, ვიყოთ კეთილი მასპინძელი

„კომუნისტის“ რეიდი

მგზავნი კონცხი. ამ შესანიშნავ, ბუნების მიერ ყოველმხრივ შემკულ ადგილზე, რომელიც ზღვის დონიდან 5 მეტრზე მდებარეობს, წამოჭიმულია სანატორიუმ **„აჭარის“** ლამაზი კორპუსები. ლია აივნებიდან ხელისგულივით ჩანს ბათუმი, შავი ზღვა. ვისაც კი ერგებოდა ბედნიერება ერთხელ მაინც დაესტუმრა აქ, არასოდეს არ დაავიწყდება ეს ადგილი, სილამაზის კურორტი.

მომდინარე სეზონისათვის აქ ბევრი კეთილი ჩანაფიქრი განხორციელებიათ.

წლეულამდე კლუბი და სასადილო ოთახსაბები ყოფილა პირველ კორპუსში, რაც დამსვენებლებისათვის უხერხულობას ქმნიდა. ახლა კი კლუბის ბლოკისთვის ცალკე შენობა აუგიათ ამ შენობიანი კლუბიც. ჩვენ დავათვალიერეთ სასადილო. აქ ყველაფერი მოწყობილია ინვენტარის უკანასკნელი სიტყვის მახედგით. დარბაზში ყველაფერი თეთრად ნთქთებს, იდეალური სისუფთავეა. ადგილიც საეცხოო შეურჩევიათ, ზღვის ულისგულივით დაჰყურებს. აქ ყოველ-ფრივ ისეთი გარემოა შექმნილი, რომ ადამიანიც კი ჭამის ხასიათზე მოვა.

მაგრამ, ნათქვამია, მადა ჭამაში მოდიან. ამ მხრივ კი...

— გასულ წელთან შედარებით — თქვა ბატონმა ექიმმა ი. გოგიჩამ. — სურსათსაკვებგით მომარაგება გაუკეთებიათ უკეთესი. განსაკუთრებით ჯარიდან გვაქვს ბევრი ნაწერი. მაგრამ ბოსტნეულით მომარაგება ვერ მოუგვარეთ. ზაფხული გადის, და დამსვენებლებს პამიდორი და ბოსტნეული ძლივს მივეცით. ხილი ხომ ... გვაქვს და არა.

— კარტოფილიც შემოგვლებიათ, ამბავი რას ეტყვით?

— მართალია, იელისში აჭარკურორტკომის მაზეზით კარტოფილის მომარაგების მხრივაც იყო შეფერხებები. ... ეგვიანო ვიყავით გაკეთებით მაღალ ... შეგვეძინა კარტოფილი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ... ეს დარღვევაა, მაგრამ სხვა გზა ... ალი არ იყო.

გადაწყვეტეთ გვენახა პირველი კორპუსი. სადაც ადგილი ... ეკონსტრუქციო ... ებიათ შეესრულებიათ.

აქ ეარცერთ ოთახს ვერ ნახავთ სრულიად შეკეთებულს. ზოგან შესალები ... ,ზოგან შესაღები, ვერანდა ... ალბულია შეუკეთებელია. რაც შეეხება ... ალატებს, აქ კიდევ მთლიანად ... ალბულია, კაცს ეგონება, ოთახებში ... ოროლი ადარიათ დიდი ბრძოლა უწარ-... ებიათო. კარგად და საიმედოდ გაკეთებული ეარაფერი ვნახეთ.

საინტერესოა, აჭარის კურორტების მართვის საბჭომ (თავმჯდომარე ვ. ახვლედიანი) სარემონტო-სამშენებლო სამმართველომ (უფროსი უ. ჯაფარიძე) ასე ... ხოლო რატომ გაუკეთა რემონტი ... შესანიშნავ სანატორიუმს?

სამმართველოს უფროსმა ასე გვიპასუხა:

— დრო არ გვეყო, ვჩქარობდით, კარი ... ბმულია გამოგვადგა, გავცარეთ, მაგრამ მაინც არ ივარგა, დაიშალა და კედლები ამიტომ არის დაცარიელებული. ... ვუყოთ, ხელახლა გადავლესავთ და ... ებულებავთ.

— კი, მაგრამ დრო? ხარჯებს ვინ გადაიხდის?

სანატორიუმის დაბლა ჩაისუბნის სამმ...

საჩუქარი რკინიგზელებს

ხაშურელმა მშენებლებმა კარგი საჩუქარი მოუმზადეს რკინიგზელებს მათი ტრადიციული დღესასწაულისათვის.

ამ დღეებში დამთავრდა კიდევ ერთი ორსართულიანი სახლის აგება. უახლოეს დღეებში მელოკომოტივეები, მეგადონეები და სხვა დარგის რკინიგზელები 18 კეთილმოწყობილ საცხოვრებელ ბინას მიიღებენ.

დ. ფარემუზოვი.

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ფეროშენადნობთა ქარხანაში გამართა ეკონომიური კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ქარხნის განვითარების პერსპექტივებს. კონფერენციაზე შესაბამისი სიტყვით გამოვიდა საქართველოს კპ ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი შ. ვერულავა. „პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების რეზერვებს“ მიეძღვნა ქარხნის მთავარი ინჟინრის, სახელმწიფო პრემიის ლაუreატის გ. სიორიძის მოხსენება.

„ქარხნის ძირითადი ფონდები და მათი გამოყენების აქტუალური პრობლემები“ — ასეთი იყო ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის დ. ჩიკაშუას მოხსენების თემა.

საინტერესო იყო ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსის, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის თამარ ახობაძის მოხსენება „პროდუქციის ხარისხის ამაღლების ეკონომიური მნიშვნელობა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მაგალითზე“. ქარხნის მთავარი ენერგეტიკოსის მოადგილის პ. ნებიერიძის მოხსენებაში გაშუქებული იყო „ელექტროენერგიის რაციონალურად გამოყენების გზები“.

„ტექნიკური პროგრესი ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში“ — ეი საკითხი, რომელიც საფუძვლიანად გააშუქა ქარხნის ტექნიკური განყოფილების უფროსმა ა. მესხმა. საინტერესო იყო აგრეთვე ქარხნის დირექტორის მოადგილის ბ. რუხაძისა და მთავარი მექანიკოსის მოადგილის გ. ხონელიძის მოხსენებები, რომლებიც შრომის ორგანიზაციის საკითხებს ეხებოდა.

კონფერენციაზე შინაარსიანი სიტყვებით გამოვიდნენ ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი ა. ხვიჩია და ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი ე. კანდელაკი.

კონფერენცია ქარხანაში

„რია თაზას“ საკვირაო ნომერი ილუსტრირებულია

სოფლიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის სსრ უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს ორგანომ „რია თაზამ“ რომელიც ქართულ ენაზე გამოდის, ამას წინათ თავისი ერთ-ერთი საკვირაო ნომერი მოძმე საქართველოს მიუძღვნა.

გაზეთის პირველი გვერდი იხსნება სიტყვებით: „საქართველოვ, ვარდების ქვეყანავ!“ რესპუბლიკის მიღწევებისა და მისი განვითარების პერსპექტივების შესახებ გაზეთის პირველ გვერდზე მოთავსებულ სტატიაში მკითხველებს მოუთხრობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე. სტატიის ბოლო ნაწილში ავტორი ეხება საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ერის წარმომადგენლების — აფხაზების, ოსების, რუსების, სომხების, უკრაინელების, აზერბაიჯანელების, ქურთების, ასირიელების და სხვათა ძმობასა და ლენინურ მეგობრობას, რომლებიც ქართველ ხალხთან ერთად მხარდამხარ აშენებენ ბედნიერ მომავალს — კომუნისტურ საზოგადოებას.

„ჩვენი ძალა მეგობრობაშია“ — ასეა დასათაურებული პოეტ-აკადემიკოსის, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივნის, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის �sაბაშიძის წერილი. [illegible] მოთხრობილია საბჭოთა საქართველოს კულტურისა და ლიტერატურის მიღწევებზე, ამიერკავკასიის ხალხთა კულტურულ ურთიერთობაზე, მოძმე ლიტერატურებისა და კულტურის მუშაკთა მეგობრობაზე.

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელექტრომავალსამშენებლო ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. პაპანაშვილი თავის წერილში მკითხველებს ესაუბრება იმ შრომითს აქტივობასა და ენთუზიაზმზე, რაც სუფევს რესპუბლიკის ამ ახალგაზრდა საწარმოს ინტერნაციონალურ კოლექტივში. ქარხანამ შვიდწლიანი გეგმის დავალებანი ვადამდე შეასრულა და ამჟამად 1966 წლის ანგარიშში მუშაობს.

საქართველოს დედაქალაქის — თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე შ. ბუხრაშვილი გაზეთის სპეციალური კორესპონდენტებისათვის მიცემულ ინტერვიუში ეხება დღევანდელ მშენებელ თბილისს და მის წარმატებებს.

ქართული სოციალისტური სოფლის ბედნიერ აწმყოზე, იმ ძირეულ ცვლილებებზე, რაც სოციალისტური წყობილების პირობებში ქართველი გლეხის ცხოვრებაში მოხდა, მოგვითხრობს ალექსანდრ ბეგელუას „ბედნიერ ადამიანთა ქვეყანა“ [illegible] ... ნინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ე. გეთია. რევოლუციამდელი ჩამორჩენილი ოქუმი ამჟამად რესპუბლიკის ერთ-ერთი მოწინავე სოფელია და მისი კოლმეურნეობა ღირსეულად ატარებს დიდი ლენინის სახელს.

ორი მოძმე რესპუბლიკის — საქართველოსა და სომხეთის კეთილი ურთიერთობისა და მეგობრობის ნათელი დადასტურებაა წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის და სომხეთის სსრ შაუმიანის რაიონის სკკპ XXII ყრილობის სახელობის კოლმეურნეობებს შორის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება, რომლის შესახებაც გაზეთი მოუთხრობს სტატიაში „ZITH ERTI ESVIDAN NATSADZEVI“.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატი რზაე რაშიდი თავის წერილში წერს იმ დიდ ზრუნვაზე, რითაც გარემოსილი არიან საბჭოთა საქართველოში მცხოვრები ქურთი მშრომელები.

„რია თაზას“ აღნიშნული საკვირაო ნომერი ილუსტრირებულია საბჭოთა საქართველოს ცხოვრების ამსახველი ფოტოსურათით.

ბალის რაიონის აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობაში ჩაის პლანტაციებს სელოვნურად რწყავენ, რითაც ხელს უწყობენ ჩაის ფოთლის მოსავლიანობის მატებას.

სურათზე: ჩაის პლანტაციების მექანიზებული რწყვა აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობაში.

ფოტო ი. პოსტნოვისა. (საკადრისის ფოტოკორესპ.).

სოფელი რუსთავი

— წერილი მეცხეთიდან —

ახლოვდება შოთა რუსთაველის იუბილე. ქართველი ხალხი ემზადება ღირსეულად შეხვდეს დიდი მგზნებარე და მოაზროვნის დაბადების 800 წლისთავს. ყველა ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს ეროვნულ ზეიმში; წარმატებებით, მიღწევებით შეხვდეს ღირსეული, როცა კულტურული კაცობრიობა დიდებით მოიგონებს მე-12 საუკუნის გენიოსს, მხატვრული სიტყვის უბადლო ხელოვანსა და რენესანსის წინამორბედს.

რამდენ გვერდაუფარელ პრობლემას აღძრავს მოახლეოვანი იუბილე!

ახლა განსაკუთრებით ძვირფასია ყოველივე, რაც რუსთაველის სახელთან არის დაკავშირებული. ასეთი კი ისტორიული წარსულით მდიდარ საქართველოში მრავალი მოიპოვება. აქ პირველ რიგში აშრომელი მიღონების მეხსიერებას, მის საუკუნეებს გამოცელილ ტრადიციას უნდა მივაპყროთ თვალი.

შოთა რუსთაველი ქართველმა ერმა უჭირნობი სიყვარულის შარავანდედით შემოსა შორეული წარსულიდანვე. ამას მარტო წერილობითი ცნობები და უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“ ხელნაწერების სიმრავლე როდი ადასტურებს. რუსთაველი და მის მიერ შექმნილი მხატვრული სახეები ღრმად არის შესული ჩვენს ყოფიერებაში, ყოველდღიურ ცხოვრებაში, საუბარსა და მეტყველებაში, ფოლკლორსა და ონომასტიკაში, ტოპონიმიკასა და მითოლოგიაში. ენასა და ლიტერატურაში, მუსიკაში, მხატვრობაში, ერთი სიტყვით ყველაფერში, რაც თავს იჩენს ადამიანური შეძოქმედების კვალი, პროგრესი.

ეს არც გასაკვირველია! თვითონ გულთამხილავმა პოეტმა ორგანულად შეისისხლორცა მთელი ადრინდელი კულტურა, თავისი ხალხის წარსული და აწმყო, სამართლიანობა და სიბრძნე, მეგობრობა და თავდადება, მრავალური სისპეტაკე. მრავალფეროვანი ეროვნული მასალის საფუძველზე შექმნა რუსთაველმა ქართველთა პოეტური ენციკლოპედია „ვეფხისტყაოსნის“ სახით. მხატვრული ნიჭით უხვად მომადლებულმა თაობებმა რუსთაველურ სიყვარულს გასამკეცებული სიყვარულით უპასუხეს. სხვათა შორის, ერთი მხრივ ამანაც შეუწყო ხელი ზეპირსიტყვიერებაში რუსთაველის ბიოგრაფიის ჩამოყალიბებას.

მაგრამ ახლა მსჯელობა არ გვაქნება პოეტის ხალხურ ბიოგრაფიაზე. დღეს მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ იმ პატარა სოფელზე, სადაც, ზეპირი ტრადიციის თანახმად, ფეხი აიდგა მომავალმა გენიალურმა მგოსანმა და უკვდავი ჰიმნი უმღერა სამშობლოს, მის მდიდარ ბუნებასა და ადამიანებს.

ამნაირად, საუბარი შეეხება ძველ დაბა-ქალაქსა და დღევანდელ სოფელს.

ჯავახეთსა და ვარძიაში ახალციხიდან მიმავალი მგზავრი რუსთავს ვერ ასცდება. როგორც კი მტკვრის ვიწროებს თავს დაალწევთ, თვალწინ გადაიშლება ფართო ველი, რომლის მხარმარცხნივ მთის ძირას ხიღის ბალებში ჩაფლული კოხტა სახლები მოჩანს. ეს არის სახელგანთქმული რუსთავი, სადაც ამჟამად 58 კომლი ცხოვრობს და შოთა რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობა არსებობს. აქ ამ ოცდარვა წლის წინათ ვიყავი, 1937 წელს, „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავზე სამეცნიერო-ფოლკლორული ექსპედიციით. ორი ათეული წლის განმავლობაში ბევრი რამ შეცვლილა. ფული მიწურების ნაცვლად ორსართულიანი ქვიტკირის სახლები აუგიათ და ელექტრობით გაუნათებიათ; აუშენებიათ საბჭო, სკოლა, ბიბლიოთეკა, საექიმო პუნქტი, საკოლმეურნეო სადგომები; შეუძენიათ კომბაინები და ტრაქტორები საკულტივაციო და სატრანსპორტო მანქანებთან ერთად, გაუყვანიათ ფართო გზები და დაუფენიათ სამოსახლო უბნები. თვალსაჩინოდ მომრავლებულია მწვანე ნარგავები; მოჩანს მსხმოიარე ვაშლის, მსხლის, ატმის, ქლიავის, ნიგვზისა და თუთის ხეები. ფართო მასივებზე დაწყებულია ტყის გაშენება, რისთვისაც მოუმზადებიათ სარგავები და, რაც მთავარია, სარწყავი სისტემა მტკვრიდან ამონაქაჩი წყლისათვის.

ვარძიის გზაზე, მტკვრის ნაპირას, სადაც ცივი წყარო გადმოსჩქეფს და ძველი ნასოფლარია, მგზნსის სახელობის პარკია გამართული, წიწვიანი ეკენარეებით დამშვენებული. შუა პარკში ბორცვზე რუსთაველის მშენებელი ძეგლი დგას. გენიალური პოეტი მაღალი კვარცხლბეკიდან გადაპყურებს მეახეთის თვალწარმტაც მხარეს და თავისკენ იზიდავს მრავალრიცხოვან მნახველებს. პარკის შესავალთან ყოველდღიურად ნახავთ საექსკურსიო და ტურისტულ კომფორტაბელურ ავტობუსებს, სხვადასხვა მარკის მსუბუქ მანქანებს. ყველა ადგილობრივი თუ შორიდან მომავალი, ვალდებულად რაცხს თავს შეჩერდეს ძეგლთან, ყურადღებით დათვალიეროს ეს ულამაზესი კუთხე და გრძნობით წარმოთქვას შოთას აფორიზმები, მოიგონოს „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა საარაკო თავგადასავალი და ქართველთა ღუხჩირი წარსული.

კოლმეურნეობის ხელმძღვანელი ეკონომისტი მიხეილ მამუკაშვილი ხალისით გვაცნობს თვალსაჩინო ადგილს გამოკრულ ვრცელ სიას, სადაც თვითეული კოლმეურნის გამოშუშავებაა ნაჩვენები. ინტერესით კითხულობთ შრომისმოყვარე ადამიანთა გვარებს, რომელთა მიერ სუთ თვეში გამომუშავებული შრომადღეების რიცხვი 150-200-250 აღემატება. რუსთავში ამჟამად ათზე მეტი გვარი ცხოვრობს. ესენია: აფციაური, ბექაური, ბერიძე, გვიანიშვილი, დავლაშერიძე, ინასარიძე, კვიდლაშვილი, კობაიძე, მამუკაშვილი, ნადიბაიძე, სანდროსაშვილი, ფიკლაური, ჩაღმაიძე, ჯოხარაშვილი და სხვ. განსაკუთრებული მოსახლეობა, თვითეული მისი წარმომადგენელი შეუნელებელი ენთუზიაზმით იღვწის, რათა იყოს დიდი პოეტის სახელობის კოლექტივის ღირსეული წევრი, თავისი მხარის პატრიოტი და მშიერი მომავლის მშენებელი.

ძველად დაბა-სოფელი მტკვრის პირას ყოფილა განფენილი, დროთა განმავლობაში კი მტრის მოძალების გამო საკაბურის მთის ძირას გადაუნაცვლებია; უფრო მყუდრო და ძნელად მისაგდომ ადგილას დამკვიდრებულა. დასახლების სანუნჯლიანობასა და მოძრაობას ადგილობრივი გეოგრაფიული სახელები და მრავალრიცხოვანი სიძველეები ამტკიცებენს. აქ ბევრი ხახნავი, საძოვარი, სამტლიე, ნაოხარი, წყარო, მთა და ხევია. ნამდვილი ქართული წარმოებისა ბევრი ათეული ტოპონიმი, მათ შორის: აბანოსხევი, ბექოხევი, გახვრეტილი ქედნა, გორა, ვასილას ხევი, კლდეკარი, კლდიძირი, კარკლიანი, ღერეხას ჭალა, ლობიოსხევი, მამინოსხევი, ორფელი ხევი, რაგვეთი, საკაბური, საცურავი ქედი, ტკბილი წყარო, ფერისცხვი, ყალიონხე, ყანობანი, ყორანთხევი, ციხე, წყალთბილა...

რუსთავი მოფენილია ისტორიული მნიშვნელობის სიძველეებით. ყოველ ნაბიჯზე ჩანს, რომ აქ შორეულ წარსულში, იქნებ ქრისტიანობამდელ ხანაშიც, არსებობდა მჭიდრო დასახლება მრავალფეროვანი მეურნეობით. ადრინდელი მოსახლეობის სიხშირეზე მიუთითებს სამი ნასაფლარი (აბანოსხევში, ფერისციხესა და ძვ. რუსთავში). ტყის მცველ 70 წლის პეტრე სანდროსაშვილის ცნობით, ფერისციხელელ 122 წლის ჭალს, რომელიც 1913 წელს გარდაცვლილა, კარგად ახსოვდა, რომ ძველი რუსთავის საყდრის ჩამოცვივნული კედლები კაცის სიმაღლეზე სცილდებოდა მიწას, ახლა მხოლოდ ბალავერი და სახთელმიმწყარი დაბალი ნიშნიღა ჩანს ბალახებში. ნასაყდრალს თელიანის ხევისაკენ ნასოფლარი საზღვრავს, სადაც აშკარად ჩანს ნადარბაზევი, სასაფლაო, ქვაყუთებიანი სამარხები. ძველი ქერამიკის ნაშთები. გზის მშენებლობისას, ტრაქტორით ხვნის თუ სანერგე ორმოების ამოთხრის დროს ნიადაგიდან ხშირად ამოაქვთ ქვევრებისა და თიხის ნარჩენები, ძვლები, კბილები, თლილი ქვები და წინაპართა კულტურის დამახასიათებელი ნიმუშები.

ძველი რუსთავის სამხრეთით ყურადღებას იქცევს ე. წ. „პატარა რუსთავის კარი“, რომელიც მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს ნასოფლარ პატარაშენის მოპირდაპირე მხარეს. ჩვენი სამეცნიერო-ფოლკლორული ექსპედიცია, რომლის მიზანს რუსთველოლოგიური მასალების მოპოვება შეადგენს, პატარა კარისაკენ ფერისციხიდან გაემართა, ვინაიდან აბანოსხევი თავიანი ცხელი წყაროებით და ნასოფლარი წყალთბილა. გადავიარეთ ხორშაკისა და ქარაშოტისაგან გაშიშვლებული გორაკები, სადაც საუკუნეთა მანძილზე სიცხესა და ყინვას ქარის დახმარებით რამდენიმე „დევის ნამესლი“ ამოუყვეთია. ერთ ასეთ თიხურ ხელოვნურ ქვის ორმოს სასაფლაოდ ეწოდა „ამირანის ნატერფალი“. შევარქვით.

„პატარა რუსთავის კარი“ მცირე მასშტაბის ქაჯეთის ციხეს ჰგავს (აქ არაფერს ვამბობთ ზღინის სურათებზე გადმოცემულ ხერთვისისა და ოქროს ცხენების შესახებ), ის ერთობ მუუვალია. ორი მხრივ ორმა კლდოვანი ხევი უგლის, მესამეზედან კი მტკვარი ეხებოდა. ყველაზე ამაღლებულ სერზე შემორჩენილია ოდნავეული ციხე-გალავანის 12-15 მეტრის სიმაღლის პირჩამონგრეული კედელი ჯერჯერობით საიდუმლოებით არის მოცული, თუ რაგორ ეწოდება ამ სიმაგრეს ნინოს ციხე. იქნებ ეს ნინო ერთი იმ ასულთაგანია, რომელთა სახელები, მესხურ-ჯავახური ფოლკლორის დაფიქნებითი ცნობით, რუსთაველს პირად სმენიკნურო თაგვადასავალშია მოხსენებული!

ნინოს ციხიდან ხელისგულივით მოჩანს ბატარაშენის ნასახლარ-ნადარბაზევნი. სადაც, გადმოცემის თანახმად, რუსთაველს ბატონი ლუნინოდა მომავალი პოეტის დაბადების დამეს, სწორედ დღეს-ეა ამაზე ბრძოლა-ბელი ეკვთინე დავლაშერიძე.

დიდი შოთას სამშობლოა რუსთავი და ბატარაშენი. ბატარაშენში ქორწილშია მგზნსის მამა ჩახრუხელი, ვაეის შვილი ავარეს — შოთა დაარქვა სახელი.

ნასოფლარი ნამეგარეულძოლოგით გაჭრილა ნინოს ციხისაკენ და მტკვარი ქარად შემორტყმია სამი მხრიდან. ნიმოთ ბატარაშენის მთავა, მის მარცხნივ სოფელი ზეული, უფრო შორს — ჩახრახის წეწერალი.

ახალი რუსთავის ბოლოა, მცირე-გორაკია, რომელსაც ხელოვნური წაგრძელებული ბორცვის ფორმა აქვს და აქაურთა წყნენით ყორღანულ სამარხს წარმოადგენს.

დაახლოებით ასეთია ღღევანდელი მესხეთის რუსთავი. ამ ისტორიულ ადგილთან დაკავშირებულია ბევრი თქმულება და გადმოცემა, რომელთა შესახებ ბაღი სამომავლოდ გვაქვს ნაგარაუდევი.

დიდებულია ამ დაბა-სოფლის, ადრინდელი ქალაქის წარსული. ასევე ბრწყინვალეა მისი მომავალი. რუსთავი მთელ რესპუბლიკასთან ერთად ემზადება სახელოვნები თამამმამულის იუბილესათვის. ჩვენი ვალია ახლოს გავაცნოთ ფართო საზოგადოებას რუსთავის აწმყო და წარსული. ყოველმხრივ შეგ ჩაწყალოთ ინაური ძიებანი, შევეძიოთ საუკუნეებიდან ბომფინარე ზეპირგადმოცემანთა სიხამდეზე და საჩვენებელ წალკოტად ვაქციოთ ერთი იმ ღირსსახსოვარ ადგილთაგანი, რომელიც სამარადჟამოდ შესისხლხორცებულია საკაცობრიო განძის შემქმნელი შოტის სახელთან.

პროფესორი მ. ჩიკოვანი.
მესხეთ-ჯავახეთის სამეცნიერო-ფოლკლორული ექსპედიციის ხელმძღვანელი.



მეცნიერი და მებრძოლი

ეს მოწმობა გაცემულია 1941 წლის ... ელისს. იგი ადასტურებს რომ მეო... რანგის სამხედრო ექიმი გ. მათეშვილი ნამდვილად არის ამერიკაკასიის ... ედრო ოლქის მთავარი თერაპევტი. ... ურადღება მიაქციეთ თარიღს. 1941 ... ლი. პირველი ივლისი. ჩვენი ქვეყნი... ვის ყველაზე მძიმე. ომის ყველაზე ... ისხვე დღეები: ამ წლის ნოემბრიდან ... ერი პოეშვილი უკვე მოქმედ არ... ია, ფრონტზე.

... ომამდე გიორგი განთავისუფლებული ... ი სამხედრო სამსახურიდან, მაგრამ ... ის პირველსავე დღეს იგი თავისი ... ერვილით გამოცხადდა სამხედრო კო... სარიატში და მოქმედ არმიაში ჩარი... ცა მოითხოვა. ეს იყო სამშობლოსადმი თავდადების შესანიშნავი მაგალი... ი.

... ოცდაექვსი წლისამ წარმატებით და... ამთავრა თბილისის სახელმწიფო უნი... ერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი ... დატოვებულ იქნა დიაგნოსტიკურ ... ინიკაში ორდ-ნატორად პროფ. ვ. ... ნამძღვრიშვილთან. შემდეგ მასთანავე ... ოობდა ჰოსპიტალური თერაპევტ ... ინიკის ასისტენტად, დოცენტად. და... ... ლა სწავლასა და შრომაში გადი... ... ოდა წლები. დღეს გიორგი მათეშვილი ... ედიცინის მეცნიერებათა დოქტორია, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

შეგვეძლო ბევრი რამ გვეამბნა გ. მათეშვილის თითქმის ორმოცი წლის მეცნიერულ-პედაგოგიურსა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე, მის მრავალრიცხოვან სამეცნიერო შრომებზე, ნოგოგრაფიებზე, ფრონტულ ცხოვრებაზე, საბრძოლო ორდენებსა და მედლებზე... ყველაფერი ეს ნათლად არის ასახული დოკუმენტებში, საგაზეთო სტატიებში, რეფერატებში, დისერტაციებში.

დიდი სამამული ომის ფრონტზე მოღვაწეობიდან აღსანიშნავია თუნდაც ის, რომ საკმაოდ დიდი შუშაობა გასწია დაჭრილთა შორის თერაპიული ხასიათის გართულებების მკურნალობის ეფექტური მეთოდების დამუშავებაზე. და პრაქტიკაში დანერგვაზე ე. წ. მასტიმულირებელი. კომპლექსური თერაპიის სახით. ომის წლებშივე გ. მათეშვილის ვრცელი სტატია მოწინავე გამოცდილების გაზიარების ძიზით დაბეჭდა საკავშირო სამედიცინო გაზეთმა „მედიცინსკი რაბოტნიკმა“.

1942 წლის თებერვალში ფრონტის ფეიდოსია-ქერჩის უბანზე ორმოცდამეოთხე მოქმედი არმიის ერთ-ერთ ეროენულ (ზურგიჯახულ) ფენიზიაში თავი იჩინა ბაცილურმა დიზენტერიამ. გ. მათეშვილის მიერ შემუშავებული ფაგიზაციისა და იმუნიზაციის სპეციალური კონვეიერული სისტემის გამოყენებით სულ მოკლე ხანში ლიკვიდირებული იყო ეს სახიფათო ინფექცია 44-ე არმიაში, რომლის მთავარი თერაპევტი ტოქსიკოლოგი გ. მათეშვილი იყო. მანვე დეტალურად შეისწავლა მიზეზები უცნაური და მოულოდნელი სიკვდილისა, რომელსაც იმავე ხანებში ადგილი ჰქონდა ამავე არმიის ფრონტის მოწინავე ხაზზე მყოფ მებრძოლთა შორის, განსაორკეულა სათანადო ღონისძიება და უცნაური სიკვდილის შემთხვევებიც ძალე მოსპო.

ეს და შემდეგ დაგროვილი მასალები და გამოცდილება გახდა საფუძველი გ. მათეშვილის მონოგრაფიული „ომისა, რომელიც გამოქვეყნდა რუსულ ენაზე სათაურით „ალიმენტური დისტროფია“. ამ შრომამ საეკაუეციო ჰოსპიტლებში მოშუშავე ექიმებს დიდი სამსახური გაუწია...

კონტუზიის გამო დემობილიზაციის შემდეგ გ. მათეშვილი მიწვეულ იქნა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში ჰოსპიტლების სამმართველოს მთავარ თერაპევტად, სადაც მალე დაინიშნა ამავე სამმართველოს უფროსად.

გ. მათეშვილის სტუდენტობის პერიოდიდან დღემდე სამედიცინო ცოდნის დიდი პოპულარიზატორია. მას მრავალი შეკითხვა მოსდის ჟურნალებსა და გაზეთებში გამოქვეყნებულ მის მეცნიერულ-პოპულარულ წერილებზე. განსაკუთრებით დიდი გამოძახილი ჰპოვა საკავშირო ჟურნალ „ზდოროვეიში“ გამოქვეყნებულმა მისმა წერილმა გულის კუთხის ინფარქტის შესახებ. ჩვენს ხელთაა მკითხველთა წერილები მოსკოვიდან, რიგიდან, ლენინგრადიდან, სვერდლოვსკიდან, სმოლენსკიდან, ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან. ავტორს დახმარებასა და რჩევას სთხოვენ, და გ. მათეშვილიც უპასუხებს ყველას — ყურადღებით, თანაგრძნობით, გულთბილად.

გიორგი მათეშვილი შესანიშნავი ექიმი და ადამიანია. ვინ მოთვლის რამდენი ღამე გაუტეხია, რამდენჯერ საფრთხეში ჩაუგდია საკუთარი სიცოცხლე, რომ სხვები გადაერჩინა.

მოვიგონოთ ომის მძიმე დღეები. სარდლობის დავალებით მან სანგარში დაწერა წიგნი პირველი დახმარების აღმოჩენის შესახებ საბრძოლო მომზადებელი ნივთიერებით დაზიანების დროს. და აქვე ფრონტზე დაიბეჭდა საველე სტამბაში.

1942 წლის 5 მაისს სარდლობის დავალებით ქ. ქერჩის ქვის მუშების უზარმაზარ გამოქვაბულში, მტრის ავიაციის განუწყვეტელი დაბომბვის პირობებში, ფრონტის სამხედრო ექიმთა სპეციალურ კონფერენციაზე წაიკითხა მოხსენება თემაზე „თერაპევტის როლი ქირურგიული ომის პირობებში“.

ამავე დროს არ იეწყვება მთავარ საზრუნავს — არმიის სამედიცინო დაწესებულებებში მაღალ დონეზე ყოფილიყო დაყენებული ავადმყოფთა მკურნალობა, რომ დაჭრილი მებრძოლების მდგომარეობა არ გართულებულიყო შინაგანი ორგანოების ამა თუ იმ დაავადებით.

არასოდეს არ დაავიწყდება 1942 წლის 19 მაისის საშინელი დღე. ყირიმში გაჟღერებული ბრძოლები მიმდინარეობდა. მტერი დღედაღამ ახდენდა სამეფო თავდასხმას ჩვენს საბრძოლო განლაგებაზე. იძულებული გავხდით კვლავ დაგვეტოვებინა ქერჩის ნახევარკუნძული. ბევრი იყო დაჭრილი. გ. მათეშვილს სარდლობის ბრძანებით დაეკავა ეხელმძღვანელა დაჭრილების ევაკუაციისათვის ზღვით, რაც მან ბრწყინვალედ შეასრულა ქერჩთან ახლოს მდებარე სოფელ ენიკალეს ნაპირებიდან, ვოიკოვის სახელობის ქარხნის ტერიტორიიდან. დაჭრილთა უანასკნელი ჯგუფების ევაკუაცია ხდებოდა 19 მაისს მთელი დამის განმავლობაში.

მებრძოლთა შორის მას შეხვდნენ ჩვენი თანამემამულე ექიმი ქალები კოკონა ბესხი და ელენე გველესანი, რომელიც მკლავში იყო დაჭრილი. ისინი მაშინვე მოთავსა გემზე და გაგზავნა დიდი მიწისაკენ.

თვით გიორგი ყველაზე ბოლოს ჩავდა უკანასკნელ კარაბში. უკვე ინათა. მოწყალა თუ არა კარაბა ყირიმის ნაპირს, მტერმა შენიშნა და სროლა აუტეხა. სცდებოდა გარშემო ნაღმები, ყუმბარები. კაკანებდნენ ტყვიამფრქვევები. აფეთქებით გამოწვეული ტალღების დარტყმებისაგან იოყოფდა კარაბა, ივსებოდა წყლით. გიორგიმ დაინახა, როგორ დაეცა მის გვერდით გემბანზე ტყვიით გაგანმრული ჯარისკაცი: ვიდრე ტამანის ნახევარკუნძულს მიაღწევდნენ, კარაბაზე კიდევ ოცამდე კაცი დაეღუპა ბაილის ბრალობა ... ბ. ... ...

მდიდარი შთაბეჭდილებანი

მოგვითხრობს მოსკოვის კინოფესტივალის ლაურეატი სერგო ზაქარიაძე

მოსკოვის IV საერთაშორისო კინოფესტივალის მონაწილეთა ერთ ჯგუფთან ერთად თბილისში დაბრუნდა ფესტივალის ლაურეატი სსრ კავშირის სახალხო არტისტი სერგო ზაქარიაძე.

„კომუნისტის“ კორესპონდენტმა სთხოვა მას ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის გაეზიარებინა საკუთარი შთაბეჭდილებანი კინოფესტივალზე, ეამბნა თავის მუშაობასა და მომავალ გეგმებზე. აი რა გვიამბო სერგო ზაქარიაძემ:

— თანამედროვე ადამიანი, მისი მომავალი ბედი — აი რა იდეებით იყო გამსჭვავლული ფესტივალის მუშაობა და საკონკურსოდ წარმოდგენილი ფილმების უმრავლესობა. ფესტივალის მონაწილეებს დაძაბული მუშაობა მოუხდათ. გარდა ფილმების ჩვენებისა ყოველდღე ეწყობოდა პრეს-კონფერენციები, შემოქმედებითი დისპუტები, შეხვედრები. ფესტივალზე საკონკურსოდ ჩამოტანილი იყო 34 სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, კონკურსგარეშე კი — 37. მოკლემეტრაჟიანი ფილმების კონკურსის ყიურომ განიხილა 85 ნამუშევარი. წინასწარი გამოანგარიშებით ფესტივალზე წარმოდგენილი ფილმები ნახა 640 ათასმა მაყურებელმა.

ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მსოფლიოს გამოჩენილ კინომოღვაწეებთან შეხვედრებმა. უსაზღვროდ მოხარული ვიყავი იმით, რომ ფილმმა „ჯარისკაცის მამამ“ ფესტივალის მონაწილეთა საერთო აღიარება მოიპოვა. ფილმის ჩვენების შემდეგ ჩემთან მოვიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კინემატოგრაფისტთა ერთ-ერთი წარმომადგენელი პროფესორი ფერდინანდი და მითხრა, ჩვენი დელეგაცია ჩვიდმეტი კაცისაგან შედგება, ჩვიდმეტივე აღფრთოვანებული ვართ და მზურვალედ გიჭერთ მხარსო.

რეჟისორმა რეზო ჩხეიძემ, სცენარის ავტორმა სულიკო ჟღენტმა და მე მოწვევა მივიღეთ პოლონეთის, ბულგარეთის, საფრანგეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, საბერძნეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სხვა სახელმწიფოთა კინემატოგრაფისტებისაგან. მათ სურვილი გამოთქვეს შეიძინონ „ჯარისკაცის მამა“ და გვთხოვეს დავესწროთ მათთან ჩვენი ფილმის პრემიერას.

ამერიკელმა მწერალმა უოტსლიმ, რომელიც ამჟამად თბილისში იმყოფება, მთხოვა დავთანხმებოდი მის მიერ დაწერილი ერთ-ერთი სცენარის მთავარი გმირის როლის შესრულებაზე. ასეთივე ხასიათის მოწვევა მივიღე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კინოსტუდიის წარმომადგენლისაგან.

საყურადღებოა ასეთი დეტალიც: საფრანგეთის კინემატოგრაფიის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, რომელმაც „ჯარისკაცის მამის“ შეძენის სურვილი გამოთქვა, მთხოვა მონაწილეობა მივიღო ამ ფილმის ფრანგულად გახმოვანებაში. რა თქმა უნდა, გიორგი მახარაშვილის ფრანგულად გახმოვანება ჩემთვის ძალიან ძნელი საქმეა, მაგრამ რა გაეწყობოდა — ჩემი გმირის სიყვარულმა ესეც გამაბედვინა და დავეთანხმე.

კარგი შთაბეჭდილება დამრჩა იტალიელ კინომსახიობ სოფი ლორენისაგან, რომელიც ჩემთან ერთად ფესტივალის ლაურეატი გახდა. მოსკოვში მას ახლო გავეცანი. მომიხდა მასთან ხანგრძლივი საუბარი და კამათიც კი. რა თქმა უნდა, ეს კამათი ჩვენს პროფესიას, მსახიობის რთულ როლს, კინოსა და თეატრის თანამედროვე პრობლემებს ეხებოდა. სოფი ლორენი თანამედროვე ხელოვნებაში ყველაზე წინ კინოს აყენებს. მე კი, როგორც მოგეხსენებათ, უფრო მაღლა თეატრი მიმაჩნია. ცხადია, რომ ამ საკითხში ჩვენ ვერ შევთანხმდებოდით. მეტად რთული და პასუხსაგები საკმეები მელის ახლო მომავალში. ეს გახლავთ ფიროსმანის როლი კინოში, მეფე ლირის განსახიერება სცენაზე. ბვალ კი სიკო დოლიძის ახალი ფილმის „ორი სიცოცხლის“ (სახელწოდება პირობითია) გადაღებაზე მივემგზავრებით მახარაძეში. ამ ფილმში, საქართველოს ერთ-ერთ სოფელს რომ ასახავს საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, ვასრულებ გურული გლეხის როლს.

მშრომელ კაცს მეძახიან, შრომა და ოფლი მართლაც ჩემი თანამგზავრია, მაგრამ ვერ წარმომიდგენია შევეძლო ისეთი შრომა, რომლითაც გავამართლო ის პატივი და აღიარება, რაც ხალხმა მომანიჭა.



დახედავ ამ სურათებს და რალაც ნაცნობი და მშობლიური შემოგნათებს. ნაცნობი და მშობლიურია ეს ანკარა მდინარეც და წყალში მოკუყმპალავე ბავშვებიც, ეს გორაკები, ეს ბორცვები, ეს ხეები, თხებთან მოალერსე ეს გოგონები. და ისიც, რაც ამ სურათზე არა ჩანს, მაგრამ ფიქრით აღადგენ... დახედავ სურათს და გულზე კვლავ და კვლავ სამშობლო მიწის სიყვარული შემოგეგზნება.

ფოტო გ. ჯაველისა.

ბოგდანოვკა. პოეტის სახლ-მუზეუმში

(საკ. კორ.). მეზობელი რაიონებიდან და მოძმე სომხეთის რესპუბლიკიდან ჩამოსული ექსკურსანტები დიდი ინტერესით ეცნობიან რეოლუციონერი მწერლისა და პოლიტიკური მოღვაწის ვაჭან ტერიანის სახლ-მუზეუმს სოფელ განძაში.

სახლ-მუზეუმში გამოფენილია ახალი ექსპოზიცია — „ვაჭან ტერიანი და ქართული ლიტერატურა“, სადაც წარმოდგენილია ვ. ტერიანის მიერ ქართული ენიდან ნათარგმნი მხატვრული ნაწარმოებები. მათ შორის ნახავთ პოეტის მიერ სომხურად თარგმნილ „ვეფხისტყაოსანს“ შესავლის, რომელსაც თავის დროზე მაღალი შეფასება მისცა აკადემიკოსმა ნ. მარმა.

ამ დღეებში სოფელ განძას ესტუმრა ქ. ერევნის ვაჭან ტერიანის სახელობის საშუალო სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა კოლექტივი, რომელმაც პოეტის სახლ-მუზეუმს საჩუქრად გადასცა ვაჭან ტერიანის დიდი პორტრეტი და სხვადასხვა ლიტერატურა.

მეხუთე დამარცხება

ცსკა — „დინამო“ (თბილისი) 1:0 (1:0). მოსკოვი. 23 ივლისი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. მსაჯი — ა. ზვერევი (ლენინგრადი).

ცსკა — კუდასოვი, პონომარიოვი, შესტერნინოვი, დოროფეინი, ბაგრიჩი, პოლიკარპოვი, დენისოვი, ბასალიკი, ფედოტოვი, კაზაკოვი, კაშტანოვი (მანოშინი); **„დინამო“** — კოტრიკაძე, ბელიძე, ხურცილავა, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, აამანიძე, მეტრეველი, ბარქაია, მაისურაძე, მესხი (ილიადი).

მატჩი პრინციპული და შეუპოვარი იყო. დასაწყისი რემპაონის სასარგებლოზე არაფერს მეტყველებდა. არმიელებს ხელიზედ მიჰქონდათ ერთიშეტი. და აი ერთი ასეთი ირეშის დროს მე-9 წუთზე დინამოელები ხიფთის გადაეყარნენ. მსჯავმა დანიშნა თავისუფალი დარტყმა. ბასალიკმა ბურთი კარის წინ ჩაყარა. მოსალოდნელად გამოვიდა კოტრიკაძე, მაგრამ ბურთი მოხვდა ცხოვრებოვს და მიაგორა კარში შეგორდა.

თანდათანობით დინამოელებმა წონასწორობა აღადგინეს. იყო შემთხვევა, როდესაც არმიელთა კარის ალება სიმარტივით წარმოადგენდა, მაგრამ ხელსაყრელ მომენტები ვერ გამოიყენეს. მესხმა დაბარკვიან.

მეორე ნახევარში ცსკა დაცვაზე გადავიდა. 55-ე წუთზე გ. სიჭინავამ ჩინებულად გაიყვანა წინ მაისურაძე. ეს უკანასკნელი პირისპირ აღმოჩნდა მეკარესთან. თითქოს გოლი გარდუვალი იყო, მაგრამ ეს რეალური შესაძლებლობაც დაკარგა. დარჩენილ წუთებს შედეგი არ მოუტანია. ჩემპიონმა მეხუთე დამარცხება განიცადა.

ამ გუნდების დუბლშემადგენლობამ მატჩი დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით 1:0. ბურთი გიორგი ბურ-

ომის ინვალიდთა შეღავათების შესახებ

მკითხველთა წერილებზე უპასუხებენ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და თავდაცვის სამინისტროს, პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს, სსრ კავშირის სამშენებლო ბანკისა და სახალხო მეურნეობის საბჭოს, რსფს რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფისა და კომუნალური მეურნეობის სამინისტროების პასუხისმგებელი მუშაკები.

როგორც ცნობილია, 1965 წლის 6 მარტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება სამამულო ომის ინვალიდებისათვის და ფრონტზე დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების წევრებისათვის შეღავათების გაფართოების შესახებ. ამ დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ რედაქციას მრავალი წერილი მოუვიდა. მკითხველები თხოულობენ უფრო დაწვრილებით ვუპასუხოთ ამ შეღავათების შესახებ. ვაკმაყოფილებთ მათს თხოვნას.

1. ვისზე ვრცელდება მთავრობის 1965 წლის 6 მარტის დადგენილებით გათვალისწინებული შეღავათები? — გვეკითხებიან ნ. ალიოშინი ზაპოროჟიედან და სხვა მკითხველები.

— სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1965 წლის 20 მაისს დაადგინა მთავრობის 1965 წლის 6 მარტის დადგენილებით გათვალისწინებული შეღავათები გავრცელდეს ყველა სამხედრო მოსამსახურეზე, რომელიც ინვალიდი გახდა სსრ კავშირის დაცვის დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიისა თუ დასახიჩრების შედეგად ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულების დროს, ან ფრონტზე ყოფნასთან დაკავშირებული ავადმყოფობის შედეგად.

სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც ინვალიდები გახდნენ არა სამხედრო სამსახურის მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით, არ სარგებლობენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 6 მარტისა და 20 მაისის დადგენილებებით გათვალისწინებული შეღავათებით.

2. აქვთ თუ არა მთავრობის მიერ 1965 წლის 6 მარტს დაწესებული შეღავათები ომის იმ ინვალიდებს, რომლებიც პენსიას იღებენ არა ინვალიდობის, არამედ წელთა ნამსახურობისა ან მოხუცებულობის გამო? — გვეკითხებიან ა. პატრუგანი კალინინგრადიდან და სხვები.

— იმ პირებს, რომლებსაც საექიმო შრომითი საექსპერტო კომისია ინვალიდებად მიიჩნევს ფრონტზე ან სამხედრო სამსახურის მოვალეობათა შესრულების დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის, დასახიჩრების გამო, აგრეთვე ფრონტზე ყოფნასთან დაკავშირებულ დაავადებათა შედეგად, აღნიშნული დადგენილებით დაწესებული შეღავათები ეძლევათ მიუხედავად იმისა, თუ რომელ პენსიას (მოხუცებულობის, წელთა ნამსახურობის გამო და სხვ.) იღებენ.

3. რა სახბინაო შეღავათები აქვთ ომის ინვალიდებს და ფრონტზე დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების წევრებს? — გვეკითხებიან ვ. მეშკოვი მოსკოვიდან, პ. იანკელლონი ლენინგრადიდან, ვ. ფედიკინი ტალინიდან და სხვები.

— თავის 1965 წლის 6 მარტის დადგენილებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დააკისრა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო მეურნეობის საბჭოებს, სამინისტროებსა და უწყებებს, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ ომის ინვალიდებს და ფრონტზე დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს საცხოვრებელი ფართობით უპირატეს უზრუნველყოფაში.

4. ბევრი წერილის ავტორი გვთხოვს განვმარტოთ, ვინ მიეკუთვნება ფრონტზე დაღუპული სამხედრო მოსამსახურის ოჯახის წევრებს.

ჩვენ არა გვაქვს ნორმატიული აქტი, რომელშიც ზუსტად იყოს განსაზღვრული დაღუპული სამხედრო მოსამსახურის ოჯახის წევრის ცნება. „ოჯახის წევრთა“ წრეში მხოლოდ იმ პირთა შეტანა, ვისაც უფლება აქვს პენსიას იღებდეს მარჩენალის დაკარგვის გამო, ბევრი ქვრივის — ქალის თუ კაცის — და დაღუპულის შრომისუნარიანი შვილების ინტერესთა გაუმართლებელი შელახვა იქნებოდა.

მიღებული პრაქტიკით, როცა საცხოვრებელი ფართობის განაწილება ხდება, დაღუპული სამხედრო მოსამსახურის ოჯახის წევრთა რიცხვში შეაქვთ: დაღუპულის მშობლები ან შვილად ამყვანნი, აგრეთვე ქვრივი და შვილები (ნამვილებნიც), რომლებსაც ახალი ოჯახები არ შეუქმნიათ. გარდა ამისა, შეღავათები უნდა მიეცეთ დაღუპულის ნათესავებს (ძმებს, დებს და ა. შ.), რომლებიც მის კმაყოფაზე იყვნენ, და მის კმაყოფაზე მყოფ სხვა პირებს, რომლებიც ამჟამად შრომის უნარს მოკლებული არიან.

თუ ვაჟიშვილი ან ქალიშვილი მამის დაღუპვისა და დედის სიკვდილის გამო საბავშვო სახლში იზრდებოდა და შემდეგ მათ გაუჩნდათ თავიანთი ოჯახი, მაგრამ ბინა არსად არა აქვთ და იძულებული არიან საბინაო ფართობი ისარგებლონ კერძო მფლობელობაში, ამ შემთხვევებში ისინი უნდა მიეკუთვნონ დაღუპულის ოჯახს და ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები მოვალენი არიან მისცენ მათ საცხოვრებელი ფართობი იმ 10-პროცენტიანი საცხოვრებელი ფართობიდან, რომელსაც იღებს აღმასკომი ახალი საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემი საწარმოების, ორგანიზაციებისა და უწყებებისაგან. ომის ინვალიდებისათვის, დაღუპულ მეომართა ოჯახებისა და დემობილიზებულთათვის საცხოვრებელი ფართობის მიცემის შეღავათიანი წესი თავდაპირველად მიღებული იყო სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1945 წლის 21 სექტემბრის დადგენილებით და დადასტურებულ იქნა მთავრობის 1965 წლის 6 მარტისა და 20 მაისის დადგენილებებით.

5. რას ნიშნავს საცხოვრებელი ფართობით უპირატესი უზრუნველყოფა ომის ინვალიდებისა და დაღუპულთა ოჯახებისა?

როგორც ცნობილია, საცხოვრებელი ფართობის გასანაწილებლად ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებში იმ პირთა ორი სიაა, რომლებსაც საცხოვრებელი ფართობი ესაჭიროებთ: პირველ სიაში შეაქვთ ომის ინვალიდები, დაღუპულთა ოჯახების წევრები და საბჭოთა არმიიდან სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შემცირების გამო დემობილიზებულნი. ყველა ზემოაღნიშნულთა დაკმაყოფილება საცხოვრებელი ფართობით ხდება ზემოაღნიშნული 10 პროცენტიდან. მეორეა საერთო სია იმ პირებისა, რომლებიც რიგის მიხედვით იღებენ ბინას.

ორივე სიაში თავისი მტკიცე „რიგია“. ინვალიდმა ან დაღუპულის ოჯახმა, რომლებიც პირველ სიაში შეტანილი არიან, ვთქვათ, 1961 წელს, საცხოვრებელი ფართობი უფრო ადრე უნდა მიიღოს, ვიდრე იმათ, ვინც ამ სიაში 1963 წელს იქნა შეტანილი; ინვალიდი და დაღუპულის ოჯახი, რომლებიც პირველ სიაში შეტანილი არიან 1961 წელს, საცხოვრებელ ფართობს უფრო ადრე მიიღებენ, ვიდრე ის ოჯახი, რომელიც იმავე წელს შეტანილია მეორე საერთო სიაში.

ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს და პროფკავშირთა საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომებს ამჟამად აღრიცხვაზე აპყავთ ომის ინვალიდები და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახები, რომლებსაც საბინაო პირობების გაუმჯობესება ესაჭიროებათ. ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს დაკისრებული აქვთ სასტიკი კონტროლი გაუწიონ ამ პირებისათვის საცხოვრებელი ფართობის პირველ რიგში მიცემას — იმ ორგანიზაციების მიერ, სადაც ისინი მუშაობენ. მიზანშეწონილი არ იქნებოდა გამოცემა განმარტებისა, თუ დაღუპული სამხედრო მოსამსახურის ოჯახის რომელ წევრზე ვრცელდება 1965 წლის 6 მარტის დადგენილება.

6. ვის ეძლევა უპროცენტო სესხი ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის? — გვეკითხებიან ა. უეიკოვი ბელგოროდიდან, ა. ბარანოვი კიროვის ოლქიდან, ა. ნაუმენკო ქალაქ ჩერკასიდან და სხვები.

— უპროცენტო სესხი საბინაო მშენებლობისათვის ეძლევა ომის ყველა ინვალიდს, როგორც იმათ, ვინც მუშაობს, ისე იმათ, ვინც არ მუშაობს. მაგრამ თუ ომის ინვალიდი, რომელიც არ მუშაობს, იღებს მცირე პენსიას და ამასთან ჰყავს კმაყოფაზე მყოფები, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა უნდა მისცენ მათ საცხოვრებელი ფართობი და არა შუამდგომლობა აღძრან სამშენებლო ბანკის წინაშე ინდივიდუალური მშენებლობისათვის სესხის მიცემის შესახებ, რომლის გადახდა ინვალიდს გაუჭირდება. თუ ინვალიდის ოჯახში არიან მომუშავენი, სესხი შეიძლება მიეცეთ ოჯახის წევრთა სოლიდარული ვალდებულებით. ეს ვალდებულება დაერთვის სესხის ძირითადი ამღების ვალდებულებას.

დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრებს ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის სესხი ეძლევათ საერთო საფუძვლებზე — 700 მანეთამდე და პროცენტების გადახდით. თუ სესხი მიღებული აქვს ომის ინვალიდს მთავრობის 1965 წლის 6 მარტის დადგენილებამდე, ეს სესხიც პროცენტიანი - რჩება.

7. ომის ინვალიდების შრომითი მოწყობისა და ამასთან შესაბამისი შეღავათების შესახებ გვეკითხებიან ი. კირილოვი ლენინგრადიდან, პ. კურიანოვი მოსკოვიდან და სხვები.

საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები მოვალენი არიან უზრუნველყონ სამუშაოთი ომის ინვალიდები, რომლებიც მათ მიმართავენ. იმ შემთხვევებში, როცა საწარმოო თავისებურებათა გამო საწარმოს არ შეუძლია სამუშაო მისცეს ინვალიდს, სოციალური უზრუნველყოფის ორგანომ უნდა მოუნახოს მას საწარმო, სადაც შეეძლება იმუშაოს.

საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა ადმინისტრაციას უფლება აქვს ერთ სამუშაო ადგილზე გამოიყენოს ომის რამდენიმე ინვალიდი, რომლებიც ან ერთმანეთს შორის გაიყოფენ ცვლას, ან იმუშავებენ დღეგამოშვებით და ა. შ. შრომის ანაზღაურება ამ შემთხვევაში მოხდება ფაქტიური გამომუშავების მიხედვით. ან ფაქტიურად ნამუშევარი დროის მიხედვით.

8. ომის ინვალიდთა მკურნალობის, დასვენებისა და მათთვის შესაბამისი შეღავათების შესახებ გვეკითხებიან ვ. ჭოების აღმასკომებში იმ პირთა ორი სიაა, რომლებსაც საცხოვრებელი ფართობი ესაჭიროებთ: პირველ სიაში შეაქვთ ომის ინვალიდები, დაღუპულთა ოჯახების წევრები და საბჭოთა არმიიდან სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შემცირების გამო დემობილიზებულნი. ყველა ზემოაღნიშნულთა დაკმაყოფილება საცხოვრებელი ფართობით ხდება ზემოაღნიშნული 10 პროცენტიდან. მეორეა საერთო სია იმ პირებისა, რომლებიც რიგის მიხედვით იღებენ ბინას.

— ომის ინვალიდებს, რომლებსაც მკურნალობა სჭირდებათ, სანატორიულ-საკურორტო მკურნალობისა და დასასვენებელი სახლების საგზურები ეძლევათ პირველ რიგში. ომის იმ ინვალიდებს, რომლებიც მუშაობენ, — სამუშაო ადგილის მიხედვით. რომლებიც არ მუშაობენ, — სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მეშვეობით. ამ შემთხვევაში ეძლევათ უფასო საგზურები. გარდა ამისა, აუნაზღაურდებათ მგზავრობის ხარჯი სანატორიუმამდე, დასასვენებელ სახლამდე და უკან დასაბრუნებლად. საგზურები ეძლევათ სამკურნალო დაწესებულებათა სამედიცინო დასკვნების საფუძველზე.

შვებულებების ზაფხულში მიცემა, აგრეთვე ზაფხულში სელფასის შეუნარჩუნებლად შვებულების მიცემა დაკანონებული არ არის, თუმცა პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საწარმოთა და დაწესებულებათა, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ანგარიშს უწევენ ომის ინვალიდებს ამ საკითხების გადაწყვეტისას.

ყველა წამალი ომის ინვალიდებს ფასდაკლებით ეძლევათ. იმ წამლებზე, რომლებსაც ჩვეულებრივად ურეცეპტოდ იძლევიან, ამ შემთხვევაში საჭიროა რეცეპტი. აფთიაქში სპეციალური ნუსხაკის წარდგენა საჭირო არ არის, რეცეპტში აღნიშნულია, რომ ავადმყოფი ომის ინვალიდია. მას მომსახურებას უწევენ რიგის გარეშე. ყოველ აფთიაქში გამოკრული უნდა იყოს განცხადება, თუ ქალაქის რომელი აფთიაქები იძლევიან წამლებს ფასდაკლებით. მოსკოვში ომის ინვალიდებს მომსახურებას უწევენ ყველა აფთიაქი, იმის განურჩევლად, თუ რომელ რაიონშია გაცემული რეცეპტი. ინვალიდის ოჯახს ეს შეღავათები არ ეძლევა.

9. ქალაქის ტრანსპორტით უფასოდ მგზავრობის შესახებ კითხულობენ ა. გონჩარი დნეპროძერჟინსკიდან, ა. კუჩერიავცევი ნიკოლაევიდან და სხვები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ზემოთ აღნიშნული დადგენილებით სამამულო ომის I და II ჯგუფის ყველა ინვალიდს და მათთან გათანაბრებულ პირებს, იმის განურჩევლად, თუ რა სახის პენსიას იღებენ და რა ხასიათისაა მათი დაავადება, მინიჭებული აქვთ ქალაქის სამგზავრო ტრანსპორტით უფასოდ მგზავრობის უფლება (გარდა ტაქსისა).

ასეთივე უფლება მინიჭებული აქვთ ომის III ჯგუფის ინვალიდებს, რომლებსაც კიდურები არა აქვთ, და მათთან გათანაბრებულ პირებს. აგრეთვე იმის განურჩევლად, თუ რა სახის პენსიას იღებენ, რა ხასიათისაა დაავადება, კონტუზია და ჭრილობა, რომლებმაც ინვალიდობა გამოიწვიეს.

უფასოდ მგზავრობის უფლება ომის III ჯგუფის ინვალიდებს ენიჭებათ მაშინ, როცა მათ აქვთ გარკვეული ანატომიური დეფექტები, დეფორმაციები ან კიდურის (ხელისა თუ ფეხის) ფუნქციის დარღვევები, რომლებიც დგინდება ინვალიდობის III ჯგუფი.

ომის III ჯგუფის ინვალიდებს სამგზავრო ბილეთების მისაღებად უნდა ჰქონდეთ საექიმო შრომითი საექსპერტო კომისიის ცნობა, რომელიც მათ ეძლევათ საექიმო შრომითს საექსპერტო კომისიაში საექსპერტო შემოწმების გაუვლელად, არამედ მხოლოდ „სამედიცინო საქმის“ საფუძველზე, რომელიც საექიმო შრომითის საექსპერტო კომისიაში ინახება იმ შემთხვევებში, როცა ომის ინვალიდები სხვადასხვა სახის პენსიებს იღებენ ჭრილობის, კონტუზიისა და დაავადების მიუხედავად, მათ შეუძლიათ გაიარონ შემოწმება საექიმო შრომითის საექსპერტო კომისიაში და მიიღონ იქ დოკუმენტი ინვალიდობის შესახებ. ეს დოკუმენტი მათ აძლევს იმ შეღავათების მიღების უფლებას, რომლებიც ამჟამად დაწესებულია ომის ინვალიდებისათვის.

სამამულო ომის ინვალიდებსა და მათთან გათანაბრებულ პირებს გარკვეული სამედიცინო ჩვენებისას ახლა უფასოდ ეძლევათ ხელით სამართავი ავტომობილი „ზაპოროჟეცი“.

ეს ავტომობილები გაიცემა საექიმო შრომითი საექსპერტო კომისიების სპეციალური დასკვნით, რომლებმაც უნდა დაადგინონ სამედიცინო ჩვენებანი და ის, რომ არ არის ავტომობილ „ზაპოროჟეცის“ ტარების საწინააღმდეგო ჩვენებანი.

ომის ინვალიდისათვის მიცემული ავტომობილის კაპიტალური რემონტი წარმოებს უფასოდ ათ წელიწადში ერთხელ (მაგრამ არაუადრეს ექვსი წლისა გაცემის მომენტიდან).

ხელით სამართავი ავტომანქანის „ზაპოროჟეცის“ მფლობელთათვის იქმნება კაპიტალური რემონტისა და პროფილაქტიკური მომსახურების სპეციალური პუნქტები, ავტომობილების გასაჩერებლები, სათადარიგო ნაწილების, ავტოსაბურავების, საწვავ-საცხები მასალების გაყიდვის პუნქტები. მოწყობილია ინვალიდებისათვის ავტომობილის ტარების უფასო რიგგარეშე სწავლება.

კაპიტალურ რემონტთან, ავტომობილის ტარების სწავლებასთან დაკავშირებულ მთელ ხარჯებს (მათ შორის სხვაქალაქელთა უფასოდ მგზავრობის, სწავლების პერიოდში, უფასო კვებისა და საერთო საცხოვრებლის საფასურის გადახდის) გაიღებენ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები.

* * *

ასეთია პასუხი ჩვენი მკითხველების მიერ მოცემულ კითხვებზე. მაგრამ შეიძლება სხვა კითხვებიც წამოიჭრას. ამიმწურავ პასუხს ომის ინვალიდი მიიღებს სოციალური უზრუნველყოფის იმ განყოფილებაში, სადაც იგი აღრიცხვაზეა. განყოფილების თანამშრომლებს ყველა დადგენილება და ინსტრუქცია აქვთ.

(„იზვესტია“, 20 ივლისი).

მატჩეგი და შედეგები

გუშინ გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მეთხუთმეტე ტურის მატჩები ფეხბურთში „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდებისათვის.

ერთ-ერთ ცენტრალურ პაექროებას წარმოადგენდა შეხვედრა დონის როსტოვში ადგილობრივი არმიის სასპორტო კლუბისა და ჩემპიონატის ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლის კიევის „დინამოს“ გუნდს შორის. დინამოელებმა აღმავლობით ჩაატარეს მატჩი და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0.

დონეცკის „შახტიორი“ საკუთარ მოედანზე თამაშობდა მოსკოვის „სპარტაკთან“. ამ გუნდებს სატურნირო ცხრილში თხუთმეტ-თხუთმეტი ქულით თანმიმდევრულად მეცხრე-მეათე ადგილები ეკავათ. ცხადია, ამან გარკვეული როლი ითამაშა მატჩის მსვლელობაზე. დაძაბული ბრძოლის შედეგია 0:0.

ბაკოს „ნეფტიანიკს“ მორიგი მატჩისათვის ტაშკენტის „პახტაკორი“ ეწვია. შეხვედრის შედეგს მეტოქეებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. წარმატების შემთხვევაში „პახტაკორი“ თავს დაიდგამდა საშუშ ზონას, „ნეფტიანიკი“ კი თვალსაჩინოდ განიმტკიცებდა პოზიციას გათამაშების ცხრილის შუა ნაწილში. მათ შორის წარმატება ხვდა „პახტაკორს“, რომელმაც მოიგო მატჩი 1:0.

მინსკის „დინამოს“ მოწინააღმდეგე ამჯერად მოსკოვის „ლოკომოტივი“ იყო. ლოკომოტიველებმა ვნებიგიული წინააღმდეგობა გაუწიეს ძლიერ მეტოქეს და შეხვედრა ფრედ (0:0) დაამთავრეს.

მინდინარე ჩემპიონატში სსრ კავშირის ათგზის ჩემპიონის — მოსკოვის „დინამოს“ მდგომარეობა არასახარბიელო — 14 თამაშიდან 12 ქულა და მეცამეტე ადგილი. გუშინ დინამოელებს კუიბიშევში პაექრობა ჰქონდათ „კრილია სოვეტოვთან“. აქაც ფრე — 0:0. აღსანიშნავია, რომ ეაშინმა მოიგერია თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა.



საინტერესო ექსპონატი

ლენინგრადის სახელმწიფო ერმიტაჟის ანტიკური ხელოვნების უმდიდრეს კოლექციას კიდევ ერთი საინტერესო ექსპონატი შეემატა. ეს არის 1964 წელს ქერჩის ახლოს ნაპოვნი ჰერაკლეს თავის ქანდაკება — ბერძნული ორიგინალი, მოქანდაკე სკოპასის ნამუშევარი, რომელიც განეკუთვნება ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნეს — III საუკუნის დამდეგს.

ფოტო ბ. მანუშინისა. ახალი ამბების სააგენტო.

„დინამოს“ სტადიონი

აკ. წერეთლის პროსპ. № 2.
ტელ. 5-21-62

27 ივლისს

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობის გათამაშება „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდებს შორის

„პახტაკორი“ ტაშკენტი — „დინამო“ თბილისი

ძირითადი შემადგენლობანი
დასაწყისი 20 საათზე.

ტელევიზია

24 ივლისი

16.40 — გადაცემათა პროგრამა, 16.45 — მოსწავლეთა საკავშირო სპორტაკიადა (რეპორტაჟი მოსკოვიდან), 17.15 — თქვენთვის, პატარებო! „ცეროდენას ეკრანი“, 17.35 — სატელევიზიო ჟურნალი „მერცხალი“, 18.10 კინონარკვევი, 18.30 — „ცოდნა“ — სამეცნიერო-შემეცნებითი პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.30 — კინონარკვევი, 19.40 — „მღერის მუსიკა მაგონებს“, 20.20 — მხატვრული ფილმი „ბალზამინოვის ქორწინება“, 21.45 — ახალი ამბები. 22.00 — „ცისფერი ეკრანის“ სტუმრები.

რადიო

24 ივლისი

პირველი პროგრამით

09.15 — რომსკი-კორსაკოვი. უვერტიურა „ნათელი ზეიმი“. 10.15 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 10.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 11.15 — მუსიკის საათი მოსწავლეთათვის, 12.10 — გადაცემა ციკლიდან — „ჩვენი თანამედროვე“ — ნარკვევი „მეტრომშენებელი“, 12.25 — ნაწყვეტები გლაზუნოვის ბალეტებიდან, 13.10 — მ. ფარცხალაძე. თემა ვარიაციებით სიმებიანი კვარტეტისათვის, 13.40 — სუდანური სიმღერები, 14.00 — ი. დუნაევსკის მუსიკა (მოსკოვიდან), 17.15 — ლალო. ესპანური სიმფონია. 17.45 — სამშობლოს საზღვაო ფარი (მოსკოვი), 18.10 — ქართული ქალაქური სიმღერები. 18.45 — ქართული საფორტეპიანო პიესები, 19.30 — „გადაცემა ახალგაზრდობისათვის“. 19.45 — „მღერის ნოდარ ანდღულაძე“ — ახალი ჩანაწერები, 20.15 — გ. ყანჩელი. ლარგო და ალეგრო სიმფონიური ორკესტრისა, ფორტეპიანოსა და ლიტავრიანისათვის. 20.30 — „ბალარეულ ტალღაზე“, 21.00 — „ძველსაბერული“, 21.15 — კონცერტი — „შობათ სღამოს“, 22.00 — „რუსთაველს საბუბილეოდ“, 23.30 — საცეკვაო მუსიკა.

ჩვენ ვიცავთ, ჩვენ ეთვისებიროთ

სპორტული ქრონიკა

□ **დაიწყო**